ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

171
1967

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**11–12**

ნოემბერ-დეკემბერი

Контрольный экземпляр

თბილისი—1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 21 სექტემბრის ბრძანება № 1105

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის ორდღიან შეკრებებზე გადამზადების შესახებ

§ 1

სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესაბამისად 1967 წლის 1 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე ჩათვლით ადგილებზე ჩატარდეს რესპუბლიკის ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა ორდღიანი შეკრებები, ხოლო რესპუბლიკის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა ორდღიანი შეკრებები მოეწყოს რაიონულ ცენტრებში 1967 წლის 1 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე ჩათვლით.

§ 2

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საბრძოლო განყოფილების მიერ წარმოდგენილი შეკრების სასწავლო გეგმა დამტკიცდეს (იხ. დანართი 1).

§ 3

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სამოქალაქო თავდაცვის შესაბამისი შტაბების უფროსებმა და სამოქალაქო თავდაცვის სკოლების უფროსებმა:

ა) ჯანმრთელობის ორგანოებთან და წითელი ჯვრის ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად შეარჩიონ სათანადო კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალი საშუალო სკოლებში მომუ-

რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

შავე სამოქალაქო თავდაცვის მოწინავე მასწავლებლები დაეხმარონ ქალაქო თავდაცვის სკოლებში მომუშავე ოსტატები—ორდღიან შეკრებებზე მეცადინეობათა ჩასატარებლად;

ბ) შეკრების ჩასატარებლად გამოყონ რაიონის (ქალაქის) ერთ-ერთი სკოლა, სადაც სანიმუშოდ იქნება მოწყობილი სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტი და აღჭურვილი იქნება იგი ტაბელით გათვალისწინებული ყველა საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობებით;

გ) ა/წ 5 ოქტომბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბს ზემოაღნიშნული შეკრებების ჩატარების გრაფიკი (იხ. დანართი № 2), ხოლო 1 დეკემბრისათვის მოხსენებითი ბარათი ჩატარებული შეკრების შესახებ.

§ 4

საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საბრძოლო განყოფილების უფროსმა (ამხ. ნ. მუსერიძე) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორმა (ამხ. ა. ორახელაშვილი) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი
**ი. შაიშმელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

## ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლ. ხელმძღვანელთა ორდღიანი შეკრების სასწავლო გეგმა

| | თემის დასახელება | საათთა რაოდენ. | ვინ ატარებს |
|---|---|---|---|
| 1 | სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები სკოლაში . . . . . . . . | 1 | განათლების განყოფილების გამგე |
| 2 | მოსახლეობის მოვალეობა და ქცევის წესები მოწინააღმდეგის თავდასხმის საშიშროებისას და სამოქალაქო თავდაცვის სიგნალებზე . . . . . . . . . . | 3 | სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი |
| 3 | ცნება მასობრივ დაზიანებათა იარაღისა და მისგან თავდაცვის შესახებ . . . . . . . . . . | 2 | სამოქალაქო თავდაცვის სკოლის ოსტატი |
| 4 | დაცვის კოლექტიური საშუალებანი . . . . . . . . . . . . | 2 | „ |
| 5 | სუნთქვის ორგანოების დაცვის უმარტივესი საშუალებანი . . | 1 | საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი |
| 6 | მფილტრავი აირწინაღი . . . . | 1 | „ |
| 7 | მაშველი სამუშაოების ჩატარება დაზიანების კერაში . . . . . | 1 | „ |
| 8 | მასობრივი დაზიანების იარაღისაგან შინაური ცხოველების, ფურაჟისა და წყალსადენების დაცვის საშუალებანი . . . . | 1 | „ |
| 9 | კანის დაცვის საშუალებანი . . | 1 | „ |
| 10 | თვითდახმარება და ურთიერთდახმარება დაზიანების დროს . | 3 | ექიმი |
| | ს უ ლ . . . | 16 | |

საბრძოლო განყოფილების უფროსი—ნ. მუსერიძე

სასკოლო ინსპექტორი ა. თრახელიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება № 1174

### სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ სპეციალურ სკოლაში, მიუხედავად რთული პირობებისა, გარკვეული მუშაობაა ჩატარებული: სკოლა დაკომპლექტებულია კადრებით, მოწესრიგებულია აღსაზრდელთა კვება, დამაკმაყოფილებელია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ეზო შემოკავებულია და მოწყობილია სპორტული მოედნები. სპეციალური სკოლა უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით.

სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოებისათვის, პიონერთა ორგანიზაციისა და ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილია ნათელი და საკმაოდ დიდი ფართობის ოთახები. მიღებულია ზომები კლუბის კეთილმოსაწყობად, ტექნიკური წრეების ჩამოსაყალიბებლად და პიონერთა ორგანიზაციის შესაქმნელად. სკოლაში ჩამოყალიბებულია სპორტული სექციები და შექმნილია ფიზიკური კულტურის საბჭო.

სპეციალურმა სკოლამ შესძლო გამოესწორებინა და ჩაებარებინა მშობლებისათვის 9 აღსაზრდელი. უახლოეს ხანში კვლავ ჩაბარდება მშობლებს 5 გამოსწორებული აღსაზრდელი. ახლო კავშირი არსებობს აღსაზრდელთა მშობლებთან, საჭირო შემთხვევაში ხდება მათი გამოძახება და ერთობლივი ღონისძიების გატარება.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობაში არის სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები.

აღმზრდელთა და სპეციალური სკოლის სხვა მუშაკთა არასაკმაო მუშაობის შედეგად ადგილი აქვს აღსაზრდელთა სკოლის ტერიტორიიდან გაპარვის ხშირ შემთხვევებს; შემოწმების დღისათვის გაპარული აღმოჩნდა 16 აღსაზრდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსაზრდელთა გაპარვის ხშირი შემთხვევები იმ გარემოებითაცაა გამოწვეული, რომ ისინი არ არიან შრომაში ჩაბმულნი, სპეცსკოლაში არაა კეთილმოწყობილი სახელოსნოები, არაა ჩამოყალიბებული ტექნიკური წრეები (ფიზიკა-ტექნიკური, რადიოტექნიკური, გემსამოდელო, ფოტო, ნატურალისტთა, და სხვ.), არსებული სახელოსნოები არაა უზრუნველყოფილი ხელსაწყოიარაღებით, მასალებით, მეთოდური წერილებით, ნახაზებითა და პროგრამებით. სპეციალურ სკოლაში მხოლოდ ერთი ფასიანი წრეა გათვალისწინებული (ქორეოგრაფიის). ხსენებული წრეების არსებობის გარეშე ძნელდება აღსაზრდელთა დაინტერესება და მათთან შემოქმედებითი მუშაობის ჩატარება.

აღსაზრდელთა გაპარვას ისიც უწყობს ხელს, რომ სპეციალურ სკოლას არ აქვს მიღებული მთელი რიგი საშტატო ერთეულებისა. ანალოგიური ტიპის სპეციალურ სკოლასთან შედარებით სამტრედიის სპეციალურ სკოლას აკლია დირექტორის მოადგილე სააღმზრდელო დარგში, აღმზრდელები, რეჟიმის მორიგეები, უფროსი ინსპექტორი კადრებისა და ბავშვთა აღრიცხვის დარგში, წრის ხელმძღვანელები და სხვ.

სპეციალურ სკოლაში არაა ჩამოყალიბებული პიონერული ორგანიზაცია, არ არის კლასები დაყოფილი რგოლებად, რაზმებად. პიონერთა ოთახში საექსპოზიციო მასალა გადახალისებას მოითხოვს, ოთახში ჰკიდია ძველი კანონები, ძველი ფიცი და ოქტომბრელთა წესები.

ადგილი აქვს სკოლიდან აღსაზრდელთა „შვებულებით" გაშვების ხშირ შემთხვევას; ზოგჯერ მშობლებთან „შვებულებით" წასული აღსაზრდელები უკან აღარ ბრუნდებიან, ხშირად კი მათ მშობელი არ უშვებს. შემოწმების დღისათვის შვებულებით წასული 5 აღსაზრდელი არ იყო დაბრუნებული სკოლაში.

დღემდე არაა შესრულებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1967 წლის 4 აგვისტოს № 4 დადგენილება სპეციალური სკოლის მუსიკალური ინსტრუმენტებითა და აუცილებელი ინვენტარით უზრუნველყოფის შესახებ. არ არის ჩამოყალიბებული მზრუნველთა საბჭო, სუსტად მუშაობენ საშეფო კოლექტივები (სამტრედიის სალოკომოტივო დეპო და ჩაის საწნეხი ფაბრიკა) და არ ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები საშეფო ორგანიზაციების მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს სამტრედიის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კანალიზაციის კოლექტორის მშენებლობა, რომელ[illegible] გათვალისწინებულია სპეციალური სკოლის კანალიზაციის ქსელის მიერთება და 1968 წლის 1 იანვრისათვის ექსპლოატაციაში გაშვება.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლება. ნაკლები ყურადღება ექცევა თვალსაჩინოების გამოყენებას სწავლებაში, დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, იშვიათად ტარდება საკლასო და საკონტროლო წერითი სამუშაოები, გულდასმით არ სწორდება წერითი ნამუშევრები და სუსტად არის გაშლილი წერითი კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლა.

არაა წესრიგში მოყვანილი მოსწავლეთა პირადი საქმეები, მათში არაა შეტანილი მოსწავლეთა ნიშნები და პედაგოგიური დახასიათება; შესწორებას მოითხოვს გაკვეთილების სამეცადინო ცხრილიც.

მასწავლებელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი სუსტია.

სპეციალური სკოლის დირექტორ მიხეილ სევერიანეს ძე შენგელიასა და დირექტორის მოადგილის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ამბროსი დიანოსის ძე კოპალეიშვილს შორის შეინიშნება არაჯანსაღი დამოკიდებულება.

დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ამხ. ა. დ. კოპალეიშვილი არ მუშაობს მთელი დატვირთვით, არ ხელმძღვანელობს აღმზრდელ-მასწავლებელთა მუშაობას და არ ახორციელებს სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას სპეციალური სკოლის მასწავლებელთა მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამტრედიის სპეციალური სკოლის დირექტორმა:

ა) მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით უზრუნველყოს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის არსებითად გაუმჯობესება;

ბ) ყველა საჭირო ღონისძიების გატარებით აღკვეთოს აღსაზრდელთა გაპარვის შემთხვევები და არ დაუშვას გამოუსწორებელ აღსაზრდელთა შინ გაშვება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ა/წლის 10 ნოემბრამდე უზრუნველყოს სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოების წესრიგში მოყვანა და ტექნიკური წრეების (ფიზიკა-ტექნიკური, რადიო-ტექნიკური, გემთსამოდელო, ფოტო, ნატურალისტთა და სხვ.) ჩამოყალიბება:

დ) დაუყოვნებლივ შექმნას პიონერული ორგანიზაცია;

ე) უზრუნველყოს საძინებელ და სასკოლო კორპუსებში სანიტ-ჰიგიენური პირობების დაცვა და ოთახების გემოვნებით გაფორმება.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ:

ა) გაითვალისწინოს ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების დროს საშტატო ერთეულების გადიდება 1968 წლისათვის დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

ბ) გამოუყოს სამტრედიის სპეციალურ სკოლას მოწყობილობათა და ინვენტარის შესაძენად 6.0 მანეთი.

3. იმის გამო, რომ პედაგოგიურ კოლექტივს არ გააჩნია ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება—საჭიროდ ჩაითვალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლების მეთოდური კაბინეტის თანამშრომლის მივლინება ადგილზე 5 დღით პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

4. ქ. თბილისის პიონერთა სასახლემ (დირექტორი ჯ. კვარაცხელია) და ბავშვთა ცენტრალურმა ტექნიკურმა სადგურმა (დირექტორი ამხ. გ. ეპიტაშვილი) შეფობა გაუწიონ და სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ სამტრედიის სპეციალურ სკოლას.

5. სკოლების სამმართველოს ინსპექტორმა ამხ. ს. ტონიამ სამტრედიის განათლების განყოფილებასთან ერთად შეისწავლოს სამტრედიის სპეციალური სკოლის საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოების დანადგარებითა და ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფის საქმე და აღნიშნულ საკითხზე წარმოადგინოს წინადადებანი ა/წლის 15 ნოემბრამდე.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს დამკვეთ და მოიჯარადრე ორგანიზაციებს დააჩქარონ სამტრედიის ჩაის საწნეხი ფაბრიკის გარე კანალიზაციის მშენებლობა, რომელზეც გათვალისწინებულია სამტრედიის სპეციალური სკოლის გარეკანალიზაციის ქსელის მიერთება, იმ ვარაუდით, რომ 1968 წლის 1 იანვრისათვის გადაეცეს იგი საექსპლოატაციოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სამტრედიის განათლების განყოფილებამ:

ა) 1968 წლის პირველ კვარტალში შეისწავლოს სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობა, შემოწმების შედეგები განიხილოს განათლების საბჭოს სხდომაზე და მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების მიზნით გაატაროს სათანადო ღონისძიებანი;

ბ) ახალი სასწავლო წლიდან გაითვალისწინოს სუსტად მომუშავე მუშაკთა გადაჯგუფება;

გ) ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით გამოაცოცხლოს საშეფო კოლექტივების (სამტრედიის სალოკომოტივო დეპო, ჩაის საწნეხი ფაბრიკა) მუშაობა;

დ) სპეციალური სკოლის დირექტორთან ერთად უზრუნველყოს მზრუნველთა საბჭოს ჩამოყალიბება;

ე) უზრუნველყოს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის ამბროსი დიანოსის ძე კოპალეიშვილის გადაყვანა შესაფერ სამუშაოზე.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება № 1175

### ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის სასწავლო აღმზრდელობით მუშაობასა და სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს, დარღვევებსა და დანაშაულებრივი ხასიათის ქმედებას.

შენობა-ნაგებობათა არარაციონალურად გამოყენების გამო საძინებელი ოთახები გადატვირთულია, საშუალოდ თითოეულ აღსაზრდელზე სანიტარული ნორმით დადგენილი 4 კვადრატული მეტრი ფართობის ნაცვლად, მოდის 1,8—2 კვმ ფართობი, ეს იმ დროს, როდესაც შენობის დიდი ნაწილი თანამშრომელთა საცხოვრებლადაა გამოყენებული.

არასაკმარო რაოდენობით აქვთ მოწყობილი პირსაბანები და საპირფარეშოები; არ გააჩნიათ კეთილმოწყობილი ფეხის დასაბანი და ჰიგიენის ოთახი. საძინებელ ოთახებში არაა სკამები, რის გამოც აღსაზრდელები ღამე ტანსაცმელს საწოლის თავებზე და ლოგინებზე აწყობენ; არა აქვთ წყლის სასმელი ჭიქები და გრაფინები, არაა მოწყობილი გართობისა და დასვენების ოთახები. ინტერნატს საკმარო რაოდენობით არ აქვს დგამ-ავეჯი.

სამრეცხაოს უქონლობის გამო თეთრეულის რეცხვა სწარმოებს ქ. თბილისში. თეთრეული უხარისხოდ ირეცხება და ცვეთის პროცენტი დიდია. აბანო არაა კეთილმოწყობილი, სკოლა-ინტერნატი არაა უზრუნველყოფილი სასმელი და სამეურნეო წყლით. კარმიდამო მოუწესრიგებელია. არაა დაცული სისუფთავე. სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია სპორტული და სათამაშო მოედნები, ფანჩატურები და ყვავილნარები. აღსაზრდელთა გართობა-დასვენებისათვის არ არის შექმნილი ნორმალური პირობები.

აღსაზრდელთა კვება არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული, მარტო ერთ თვეში ნორმით კუთვნილი პროდუქტებიდან აღსაზრდელებს დააკლეს: კარტოფილი 405,9 კგ, ბოსტნეული 708,1 კგ, ხორცი 108,2 კგ, თევზი 171,8 კგ, ქაშაყი და ხიზილალა 48,8 კგ, რძე 73,5 კგ, ხაჭო 292,2 კგ, არაჟანი 116,7 კგ, კვერცხი 1142 ცალი და სხვ.

სკოლა-ინტერნატში ჩაშლილია სამედიცინო მომსახურება. შტატით გათვალისწინებულია 2 ექიმი და 4 ექიმის თანაშემწე. 6 თვეა, რაც სკოლა-ინტერნატს არც ერთი ექიმი არა ჰყავს და სამედიცინო მუშაობა მინდობილი აქვს ექიმის თანაშემწეებს. იზოლატორი არაა მოწყობილი, არ ადგენენ სამედიცინო დოკუმენტაციას. არ აწარმოებენ კალორაჟისა და ვიტამინიზაციის ჟურნალებს, არაა ჩატარებული აცრები, აღსაზრდელები არ გაუტარებიათ რენტგენზე, არ ტარდება მომსახურე პერსონალის სამედიცინო შემოწმება და აღსაზრდელთა თერმომეტრიზაცია. ბავშვებს აცვიათ მოურგებელი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. წვიმიან ამინდში მეცადინეობის დროს საკლასო ოთახებში ბავშვებს ფეხსაცმელებს ხდიან. შემოწმების დროს მესამე კლასის მოსწავლეები მასწავლებელ შ. ბუაძის კლასში ფეხსაცმელგახდილი, სველი წინდებით, ხოლო 3 ბავშვი სრულიად ფეხშიშველი ისხდნენ გაკვეთილზე.

სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა წრეები არსებობენ ფორმალურად, არ ატარებენ მეცადინეობას, არ უშვებენ კედლის გაზეთებს, არ აქვთ მოწყობილი სტენდები და სხვა.

ცალკეული საგნების სწავლების დონე ძალზე დაბალია. არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა (მასწავლებელი შოშიაშვილი და შ. ბუაძე). დამახინჯებულად ასწავლის არითმეტიკას მეოთხე კლასში მასწავლებელი გ. თედიაშვილი და რუსულ ენას იმავე კლასში მასწავლებელი ნ. ჯიმშელაძე.

სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანია გეოგრაფიის სწავლებაში (მასწავლებლები გ. ყიფიანი და ნ. მამულაშვილი).

სკოლა-ინტერნატში სრულიად უგულებელყოფილია ესთეტიკური აღზრდა. შენობა-ნაგებობანი და კარმიდამო არ არის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა შესაბამისად გაფორმებული, ინტერნატის არც ერთი კუთხე არ არის ლამაზად მოწყობილი, ყველგან კუსტარულობა და უგემოვნებაა გამეფებული.

არ ტარდება თემატური ხასიათის დილა-საღამოები, ექსკურსიები, მკითხველთა კონფერენციები, სრულიად უყურადღებოდაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატოვებული ინტერნაციონალური და ათეისტური აღზრდის საკითხები.

აღმზრდელები მუშაობენ ერთიმეორისაგან გადაწერილი, უხეიროდ შედგენილი გეგმით და ასრულებენ მხოლოდ პასიური მეთვალყურის როლს.

ჩატარებული დოკუმენტური რევიზიით დადგენილია, რომ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს, სახელდობრ: სასადილოს, რომელსაც საზოგადოებრივი კვების ტრესტი ემსახურება, არ ეწევა არავითარი კონტროლი, რის შედეგადაც დიდი რაოდენობითაა აუთვისებელი კვების პროდუქტები; არ ივსება სწორად ავტომანქანების საგზურები. ავტობუსის მძღოლს ოქროკვერცხოვს, მიუხედავად მანქანის მწყობრიდან გამოსვლისა და ექსპლოატაციის გარეშე ყოფნისა, თვეების განმავლობაში ხელფასი ეძლეოდა 100%-ით—115 მანეთის რაოდენობით; საავადმყოფო ფურცლებზე თანხების გაცემა სწარმოებს ადგილკომის დადგენილების გარეშე; არ აქვთ ძვირადღირებული ინვენტარის (ტელევიზორები, მიმღები და სხვა) პასპორტები. წლების განმავლობაში გამოუყენებლად აქვთ 10 ცალი საკერავი მანქანა (ამ სკოლა-ინტერნატს არ ესაჭიროება); მარაგში მყოფი რბილი ინვენტარის საწყობში საქონლის შემოსავალში აღება და გასავალში გაწერა სწარმოებს არტიკულის, ზომის და ფასთა ჩვენების გარეშე (საშუალო ფასებით); ყოფილ მეთეთრეულე ვ. მოროზოვაზე რიცხული დანაკლისის თანხა 140 მანეთი და 80 კაპიკი დღემდე ამოუღებელია; არასწორი ტარიფიკაციის შედეგად აღმზრდელ ლ. ნადაშვილზე ზედმეტად აქვთ გაცემული 36 მანეთი; მეტად დიდია დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები (დებიტორული—879 მანეთია, კრედიტორული—2921 მანეთი), დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო დარგში გ. გამყრელიძეს დააკლდა მაგარი ინვენტარი 8 მანეთად ღირებული და ნამატი აღმოაჩნდა 152 მანეთი; საწყობის გამგეს ვ. სვანიძეს გამოუვლინდა დანაკლისი 29 მანეთისა და 94 კაპიკის, ხოლო ნამატი აღმოაჩნდა 56 მანეთისა და 44 კაპიკის ოდენობით. დოკუმენტური რევიზიის აქტში აღნიშნული ნაკლოვანებებისა და დარღვევების ანალოგიურ დარღვევათა და ნაკლოვანებების არსებობაზე და აღმოფხვრის აუცილებლობაზე არაერთხელ მიეთითა (წინა რევიზიების აქტებშიაც) უფროს ბუღალტერს ა. ჭოლაძეს და დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო დარგში გ. გამყრელიძეს, მაგრამ მათ დღემდე არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები და არავითარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზომები არ მიუღიათ ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრელად.

სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს კინკლაობას, აშკარა და ფარულ ინტრიგას. დაცემულია შრომის დისციპლინა. დირექტორი ქ. ტომარაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ი. სვანიძე და უფროსი აღმზრდელი ვ. ქემოკლიძე არაკოლეგიალურად მუშაობენ. სკოლა-ინტერნატის მუშაკთა კოლექტივი გაყოფილია ორ, ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ ჯგუფად. დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ი. სვანიძე, უფროსი აღმზრდელი ვ. ქემოკლიძე, პედაგოგები გ. ყიფიანი და გ. თედიაშვილი ნორმალურ საქმიან დამოკიდებულებაში არ არიან სკოლა-ინტერნატის დირექტორ ქ. ტომარაძესთან, აზვიადებენ დირექტორის მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებს, არ ეხმარებიან მას ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. თავის მხრივ, დირექტორი ქ. ტომარაძე ცდილობს თავის დაცვას და მომხრეების გაჩენას; ამ დაუმთავრებელი დავისა და კინკლაობის შედეგად ვერც ერთი ველარ ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს აღმზრდელთა, მასწავლებელთა და ინტერნატის სხვა მუშაკთა საქმიანობაზე.

ადგილი აქვს ზოგიერთი პედაგოგის მიერ აღსაზრდელებისადმი არაპედაგოგიური, დანაშაულებრივი მოპყრობის შემთხვევებს. მ/წლის 16 სექტემბერს აღმზრდელ-მასწავლებელმა გ. ყიფიანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეექვსე კლასის მოსწავლეებს მ. გუმაშვილსა და ა. ნაუაშვილს, ამის შემდეგ გ. ყიფიანმა, დირექტორის ნებართვის გარეშე, თვითნებურად მიატოვა სამუშაო და წავიდა ქ. თბილისში, თან წაიყვანა ნაცემი ბავშვები, ფიზიკური შეურაცხყოფის კვალის დასაფარავად.

ბეთანიის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობა რამდენჯერმე იქნა შესწავლილი ადგილზე. ჩატარებული იქნა თანამშრომელთა საერთო კრება, დაისახა ღონისძიებანი, მაგრამ ინტრიგა, ხელმოუწერელი და ხელმოწერილი წერილების წერა, ერთმანეთის ცილისწამება და უსაფუძვლო საჩივრები მაინც გრძელდება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის დირექტორი ქ. ტომარაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში ი. სვანიძე, უფროსი აღმზრდელი ვ. ქემოკლიძე,

რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სკოლა-ინტერნატზე საჭირო ხელმძღვანელობა, ჩაშალეს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა და სამეურნეო საქმიანობა, დაკარგეს ავტორიტეტი თანამშრომელთა შორის და აწარმოებენ უპრინციპო დაჯგუფებებს და კინკლაობას, განთავისუფლდნენ სამუშაოდან.

2. მასწავლებელი გ. ყიფიანი აღსაზრდელებისადმი ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის მოიხსნას სამუშაოდან.

3. აღმზრდელ-მასწავლებელი ლ. ბარამიძე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თანამშრომელთა დაჯგუფებასა და კინკლაობაში განთავისუფლდეს სამუშაოდან.

4. სკოლა-ინტერნატის უფროსი ბუღალტერი ა. ჭოლაძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო საფინანსო საქმიანობის თავის სიმაღლეზე დაყენება, განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

5. დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო დარგში გ. გამყრელიძეს სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. სკოლა-ინტერნატის დირექციამ:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს აღმზრდელთა მეოთხედური გეგმები. მოსთხოვოს აღმზრდელებს სისტემატურად შეადგინონ ყოველდღიური სამუშაო გეგმები და აწარმოონ აღსაზრდელებზე პედაგოგიური დაკვირვებანი; დაევალოს უფროს აღმზრდელს სისტემატურად შეამოწმოს აღმზრდელთა მიერ საალმზრდელო ჟურნალების წარმოება;

ბ) იმგვარად მოაწესრიგოს აღსაზრდელთა დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობა, რომ იგი არ იყოს გაკვეთილის დუბლირება და უზრუნველყოფდეს აღსაზრდელთადმი ქმედით დახმარებასა და მათი ცოდნის დონის ამაღლებას;

გ) გადაჭრით გააუმჯობესოს ყოველი სასწავლო დისციპლინის სწავლების ხარისხი;

დ) მეტი ყურადღება მიაქციოს აღსაზრდელთა ესთეტიკურ აღზრდას, მათ შორის კულტურულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლას; ხშირად ჩაატაროს თემატური დილა-საღამოები, შეხვედრები ხელოვნების, მეცნიერების მუშაკებთან, წარმოების მოწინავე ადამიანებთან, ლაშქრობები და სხვა მასობრივი ღონისძიებები;

ე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სკოლა-ინტერნატის სხვა მუშაკთა ყოველდღიურ მუშაობაზე. ღრმად ჩასწვდნენ სასწავლო პროცესს და სა-

ჭირო რეაგირება მოახდინონ ნაკლოვანებებზე. შეისწავლონ მოწინავე აღმზრდელთა და მასწავლებელთა მუშაობა და განაზოგადონ მათი გამოცდილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) განამტკიცონ სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შორის დისციპლინა და სათანადო სასჯელი დაადონ დისციპლინის ყოველ დამრღვევს;

ზ) დაუყოვნებლივ დაიწყონ და უმოკლეს ვადაში დაამთავრონ ეზოს კეთილმოწყობა;

თ) ამთავითვე მიიღონ ზომები ინტერნატისათვის დგამ-ავეჯის შესაძენად და მიაღწიონ იმას, რომ ყოველ საძინებელ ოთახში იყოს თითო მაგიდა, ხოლო სკამები—აღსაზრდელთა რაოდენობის მიხედვით;

ი) შესაძლებლობის ფარგლებში გამოყონ აღსაზრდელთა დასვენებისა და გართობის ოთახი, უმცროსი კლასების აღსაზრდელთათვის სათამაშოების ოთახი;

კ) იზრუნონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის; არ დაუშვან კვების ნორმების დარღვევა, სასადილოში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან რამოდენიმე დღის მენიუ, მოსთხოვონ ყველა აღმზრდელს დანერგონ აღსაზრდელებში ჭამის კულტურის ჩვევები;

ლ) უზრუნველყონ ბავშვთა აკურატულად (მორგებული ტანსაცმელ-ფეხსაცმელის) ჩაცმის ორგანიზაცია;

მ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატის ეზოს, სასკოლო და საძინებელ კორპუსებში სისუფთავის დაცვას, დადგან სანაგვე ურნები საჭირო რაოდენობით, მოაწყონ ფეხსაბანები, ჰიგიენის ოთახი გოგონებისათვის, საპირფარეშოები უზრუნველყონ ქაღალდით, დადგან ქაღალდის ჩასაყრელი ყუთები;

ნ) მოსთხოვონ აღმზრდელებს მეტი ყურადღება მიაქციონ თვითმომსახურეობისა და პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვას აღსაზრდელებში;

ო) იზრუნონ სამეურნეო კორპუსის (აბანო, სამრეცხაო) მშენებლობასა და სკოლა-ინტერნატის წყლით უზრუნველყოფისათვის;

პ) იზრუნონ, უმოკლეს ხანში, სკოლა-ინტერნატის ექიმებით დაკომპლექტებისათვის. კონტროლი გაუწიონ მედპერსონალის მუშაობას.

7. აღმზრდელ მასწავლებელს გ. თედიაშვილს ჩამოერთვას არითმეტიკის საათები, ხოლო ნ. ჯიმშელაძეს—რუსული ენის საათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება № 1211

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის ორდღიანი შეკრებების მუშაობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები არასათანადო ყურადღებით ეკიდებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის ორდღიანი შეკრებების ორგანიზებულად ჩატარებას, რის შედეგადაც ახალქალაქის, გორის, თეთრიწყაროს, კასპის და ორჯონიკიძის რაიონებში აღნიშნული ღონისძიების ჩატარება სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. არადამაკმაყოფილებელია კლასების ხელმძღვანელთა გამოცხადება, დაბალ პედაგოგიურ დონეზე ტარდება მეცადინეობა, სასწავლო პროცესში არ იყენებენ თვალსაჩინოებას (პლაკატებს, დიაფილმებს, დიაპოზიტივებს, კინოსურათებს, კანის დაცვის საშუალებებს). ხოლო სოფელ ადგილებში არ ასწავლიან უმარტივესი ტიპის საფრების მოწყობას: გორის რაიონში შეკრებაზე მყოფ კლასების ხელმძღვანელებთან მეცადინეობა თემაზე—თავდაცვის ინდივიდუალური საშუალებები—ერთი აირწინაღის გამოყენებით ჩატარდა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის 1967 წლის 21 სექტემბრის № 1105 ბრძანების მოთხოვნები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელ-

თა სამოქალაქო თავდაცვის ორდღიან შეკრებებზე გადამზადების შესახებ და უზრუნველყონ V—VI—VII კლასების ყველა ხელმძღვანელის შეკრებებზე გამოცხადება;

ბ) შეკრებების ორგანიზებულად ჩატარებისათვის ბრძანებით გამოყონ განათლების განყოფილების ინსპექტორი და სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, რომლებიც ადგილობრივ სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან ერთად უხელმძღვანელებენ შეკრებების მუშაობას;

გ) პირადად დაესწრონ შეკრებებს და ჩაატარონ საუბრები სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესახებ;

დ) 1967 წლის 1 დეკემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბს ზემოაღნიშნული შეკრების ჩატარების ანგარიში თანდართული ფორმის მიხედვით.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორმა (ამხ. ა. ორახელაშვილი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შეკრებების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოამხსენოს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი—თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 5 ნოემბრის ბრძანება № 1239

### საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ ხანებში საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებმა ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა. მნიშვნელოვანი გამოცოცხლება დაეტყო მათ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საბავშვო დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების პერიოდში. საგრძნობლად გაძლიერდა აგრეთვე სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და კონტროლი აღნიშნული დაწესებულებებისადმი.

საინტერესო და შინაარსიან მუშაობას ატარებენ ბორის ძნელაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული სადგური.

მიუხედავად აღნიშნულისა, ბავშვთა სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები შეინიშნება. სკოლისგარეშე დაწესებულებების დიდ ნაწილს არა აქვს შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვანისა და ქარელის რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლები თითო პატარა ოთახშია მოთავსებული. ასევე მძიმე პირობებშია ასპინძის, აბაშის, გურჯაანის, ხაშურის, წყალტუბოს, ცაგერის, სიღნაღის, ახალციხის, ადიგენის, ლენტეხის, ხულოს და სხვა რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლები.

რიგი სკოლისგარეშე დაწესებულებები სრულიად ვერ იყენებენ თავის შესაძლებლობებს, ვერ აინტერესებენ და ვერ იზიდავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობაში მოსწავლე ახალგაზრდობას, სრულყოფილად ვერ ატარებენ მასობრივ და სხვა ღონისძიებებს.

საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— მკვეთრად გააუმჯობესონ ბავშვთა სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობა; ფართოდ მიიზიდონ მოსწავლეები და პიონერები ამ დაწესებულებათა საქმიანობაში; ხელი შეუწყონ ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების შემდგომ განვითარებას, უზრუნველყონ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარება;

— გააძლიერონ წრეობრივი მუშაობა სკოლისგარეშე დაწესებულებებში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ბავშვთა ინტერესების განვითარებას მეცნიერებათა ახალი დარგების საფუძვლების შესწავლისადმი, როგორიცაა: ატომგულის ფიზიკა, კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა, ტელემექანიკა, აგროქიმია, ბიოქიმია, ფიზიკური ქიმია, გეოფიზიკა, მანქანათა კონსტრუქტირება და სხვ. მიაღწიონ იმას, რომ მეცადინეობა ამ წრეებში იყოს საინტერესო და მიმზიდველი;

— მეცადინეობის პროცესში მეტი ყურადღება დაუთმონ პიონერთა და მოსწავლეთა ნიჭიერებისა და მიდრეკილებათა გამოვლინებას და მათს განვითარებას; წრეებში შესასწავლი მასალა მჭიდროდ დაუკავშირდეს ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის მაგალითებს, მოცემული ქალაქის, სოფლის, რაიონის სამრეწველო და სამეურნეო სპეციფიკას და პერსპექტიულ განვითარებას;

— 1968 წლის ბოლომდე უზრუნველყონ ყველა საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებათა შენობებისათვის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარება და ამ დაწესებულებათა კეთილმოწყობა.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ 1968 წლიდან გაადიდოს საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებათა დაფინანსება საწრეო და მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით 1967 წლის ბოლომდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადება საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებების ახალი საშტატო განრიგის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად;

— განსაზღვროს ქალაქებისა და რაიონების საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებათა ფინანსიური ჯგუფების რაოდენობა მოსწავლეთა მაქსიმალური ჩაზმის გათვალისწინებით;

— გაითვალისწინოს საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებების საორგანიზაციო-მეთოდური და სასწავლო საკონსულტაციო მუშაობისათვის წრეების ხელმძღვანელთა ხელფასის ფონდი 25%-მდე, ხოლო საჭირო შემთხვევაში ამ დაწესებულებათა შტატში შემოიღოს მეთოდისტის თანამდებობა.

3. მომარაგებისა და დამამარე წარმოებათა სამმართველომ შეადგინოს განაცხადი საბავშვო და სკოლისგარეშე დაწესებულებების აუცილებელი მოწყობილობით, ინსტრუმენტებით, დეტალებითა და მასალებით ყოველწლიური მომარაგების შესახებ სათანადო ზემდგომ ორგანოებში წარსადგენად შემდგომი მსვლელობისათვის;

— საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებები მოამარაგოს ცენტრალიზებული წესით.

4. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ საპროექტოსაძიებო მუშაობის 1968 წლის გეგმით გაითვალისწინოს საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებათა შენობების დაპროექტება;

— დაამუშაოს და წარმოადგინოს პროექტი მარტივი ტიპის საზაფხულო საბავშვო ტურისტული ბაზების შესაქმნელად სოფ. მანავსა, გვერდისუბანსა და ზოგიერთ სხვა ადგილებში.

5. მეთოდურმა და სახელმძღვანელოების განყოფილებებმა მოამზადონ და დასაბეჭდად გადასცენ საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები, პროგრამები და სხვა მასალა.

6. სკოლების სამმართველომ შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

7. ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს ამიერიდან ეწოდოს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ტყიბულის, ჭიათურისა და ზუგდიდის პიონერთა სახლები გადაკეთდეს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებად; მიღებულ იქნეს ზომები, რათა ქ. ქ. სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, გორის პიონერთა სახლები ახლო მომავალში გადაკეთდნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებად.

9. ვავალებ ჩემს მოადგილეს ამხ. უშ. ობოლაძეს კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 27 ნოემბრის ბრძანება № 1322

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოების მუშაობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ სკოლებზე სათანადო მეთოდური დახმარების გაწევის მიზნით სახალხო განათლების განყოფილებებთან შექმნილი სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდურმა საბჭოებმა დადებითი შედეგები მოგვცა, ასე მაგალითად, ქ. თბილისის, რუსთავის, მცხეთის, სიღნაღის, თერჯოლის, ხაშურის განათლების განყოფილებებთან არსებული სთ მასწავლებელთა მეთოდური საბჭოების კარგმა მუშაობამ კეთილსასურველი შედეგები გამოიღო სამოქალაქო თავდაცვაში მოსწავლეთა მომზადების დონის ამაღლების საქმეში

ამასთან ერთად, რიგი ქალაქებისა და რაიონების (ქ. ქ. გორი, ქუთაისი, ჭიათურა, ბოლნისი, გურჯაანი, დმანისი, მაიაკოვსკი, წყალტუბო) განათლების განყოფილებებთან არსებული სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) 1967 წლის 25 დეკემბრამდე გადაახალისონ სახალხო განათლების განყოფილებებთან არსებული სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოები. მეთოდური საბჭოების თავმჯდომარეებად აირჩიონ საქმის კარგად მცოდნე ენერგიული მუშაკები, უპირატესად საშუალო სკოლების სთ მოწინავე მასწავლებელთა რიგებიდან და მთელი მუშაობა წარმართონ სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოს დებულების შესაბამისად (დებულება თან ერთვის).

ბ) სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მიერ შემუშავებული სასკოლო სთ კაბინეტის დებულების მიხედვით სთ მასწავლებელთა და V—VI—VII კლ. ხელმძღვანელთა მეცადინეობის ჩასატარებლად ქალაქის (რაიონის) ერთ-ერთი სკოლის ბაზაზე მოაწყონ სამოქალაქო თავდაცვის სანიმუშო კაბინეტი.

2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ სასწრაფოდ შეადგინოს სთ მეთოდური საბჭოს მუშაობის სანიმუშო გეგმა და დაუგზავნოს რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებას.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების 1968 წლის გეგმაში გაითვალისწინოს სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოების თავმჯდომარეთა (90 კაცის) 5-დღიან კურს-სემინარზე გამზადება.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორმა (ამხ. ა. ორახელაშვილი) შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მომახსენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ | ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ |
| საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლ ა შ ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი | საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ი. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი |

# სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა და V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა მეთოდური საბჭოს

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## I. მეთოდური საბჭოს ამოცანები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოები არსდება სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის 1967 წლის 18 ივნისის საინსტრუქციო წერილის შესაბამისად საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებთან საზოგადოებრივ საწყისებზე.

მის ამოცანას წარმოადგენს სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლებს, სთ მასწავლებლებს, V— I—VII კლასების ხელმძღვანელებს სამოქალაქო თავდაცვაში მეცადინეობის ხარისხის, სასწავლო და მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებაში, პედაგოგიური ოსტატობის დაუფლებაში, სწავლების ერთიანი, სრულყოფილი მეთოდების გამომუშავებასა და მოსწავლე ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში.

## II. მეთოდური საბჭოს უფლება-მოვალეობა

მეთოდური საბჭო განიხილავს საკითხებს საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII—IX კლასებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების საქმის მდგომარეობის შესახებ, ავლენს სკოლის

და მასწავლებლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, განაზოგადებს მასწავლებლის დადებით გამოცდილებებს და სახავს შემდგომ ღონისძიებებს სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

## III. მეთოდური საბჭოს შემადგენლობა

მეთოდური საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილება და ადგილობრივი სამოქალაქო თავდაცვის შტაბი; მის შემადგენლობაში შედიან განათლების განყოფილების, ადგილობრივი სამოქალაქო თავდაცვის შტაბის, სამხედრო კომისარიატის, კომკავშირის, დოსააფის, წითელი ჯვრის, სპორტკავშირის წარმომადგენლები და სამოქალაქო თავდაცვის მოწინავე მასწავლებლები, მეთოდურ საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი (თავ-რე, თავ-რის მოადგილე, მდივანი და წევრები).

მეთოდური საბჭოს სხდომები იწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ერთისა კვარტალში. პრეზიდიუმის სხდომები იწვევა არანაკლებ ერთისა სასასწავლო მეოთხედში.

## IV. მეთოდური საბჭოს მუშაობის წესი

მეთოდური საბჭო მუშაობს განათლების განყოფილებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მიერ დამტკიცებული გეგმით. იგი ატარებს სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლების მდგომარეობის შემოწმებას. ორგანიზაციას უკეთებს საჩვენებელი და ღია გაკვეთილების ჩატარებას, სთ მასწავლებელთა მეცადინეობის ჩასატარებლად ქალაქის (რაიონის) ერთ-ერთი სკოლის ბაზაზე აწყობს სამოქალაქო თავდაცვის სანიმუშო კაბინეტს. ზაფხულის პერიოდში პიონერთა, სპორტულ, ტურისტულ და სხვადასხვა სახის გამაჯანსაღებელ ბანაკებში ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვაში V—VI—VII—IX კლ. მოსწავლეთა თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და მათში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად დასახული ღონისძიებების ჩატარებას.

საშტატო ერთეულები საბჭოს არა ჰყავს და მუშაობაში იგი იყენებს განათლების განყოფილებისა და ადგილობრივი სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მუშაკებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო წლის დამთავრებიდან 10 დღის განმავლობაში მეთოდური საბჭო ანგარიშს უდგენს განათლების განყოფილებას და სამოქალაქო თავდაცვის შტაბს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების ინსპექტორი **ა. ორახელაშვილი**

საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსი **ნ. მუხერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 27 ნოემბრის ბრძანება № 1323

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII—IX კლასებში სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლების შესახებ

საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის უფროსის 1967 წლის 22 აგვისტოს № 729 დადგენილების შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო ქალაქისა და რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასებში სამოქალაქო თავდაცვაში მეცადინეობა დაიწყოს 1968 წლის 15 იანვრიდან და დამთავრდეს 1-ლ აპრილამდე. იმ ვარაუდით, რომ მეცადინეობა ჩატარდეს კვირაში ერთხელ 90 წთ ხანგრძლივობით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებმა და შესაბამისმა სთ შტაბებმა:

ა) 1968 წლის 10 იანვრამდე უზრუნველყონ რაიონის (ქალაქის) თითოეულ 8 წლიან და საშუალო სკოლასთან სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტის, კუთხის ან კლას-კაბინეტის მოწყობა;

ბ) მითითება მისცენ სკოლებს, რათა V—VI—VII—IX კლასების ცხრილში შეიტანონ სამოქალაქო თავდაცვა და მეცადინეობის აღრიცხვა სთ მასწავლებლებმა და კლასების ხელმძღვანელებმა აწარმოონ საკლასო ჟურნალებში;

გ) სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნითა და მასწავლებლებისადმი სათანადო პედაგოგიური დახმარების გაწევით უზრუნველყონ ყველა საშუალო და რვაწლიან სკოლაში სთ პროგრამის სრულად გავლა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სკოლებში სთ სწავლების ჯეროვნად დაყენების მიზნით შეადგინონ კონკრეტული გეგმა და, წითელი ჯვრის კომიტეტებთან და ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად, გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

ე) სათანადო ყურადღება მიაქციონ V—VI—VII—IX კლასებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლებას, რისთვისაც განათლების განყოფილების ერთ-ერთ ინსპექტორს ბრძანებით დაავალონ ამ საგნის სწავლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ვ) დაამყარონ საქმიანი კავშირი ადგილობრივი წითელი ჯვრის კომიტეტებთან. ჯანმრთელობის ორგანოებთან, სამხედრო კომისარიატებთან, დოსაafის კომიტეტებთან და სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობის შემოწმებისას შექმნან კომპლექსური კომისიები ზემოაღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით—შემოწმების შედეგები მოისმინონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და საჭიროების შემთხვევაში—ალმასკომების სხდომებზე;

ზ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ საშუალო სკოლების დირექტორების, სთ მასწავლებლების, V—VI—VII კლ. ხელმძღვანელების, სთ შტაბების, წითელი ჯვრის კომიტეტების და ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა გაერთიანებულ თათბირზე და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბს 1968 წლის 25 იანვრისათვის.

3. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) V—VI—VII—IX კლასების მოსწავლეებთან სთ საგნის სწავლებისათვის უზრუნველყონ ყველა საჭირო პირობების შექმნა, შეიძინონ ტაბელით გათვალისწინებული სასწავლო ხელსაწყოები, სასწავლო პლაკატები და ლიტერატურა;

ბ) 1968 წლის 10 იანვრისათვის სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლების სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტები, ხოლო იქ, სადაც სთ კაბინეტების მოწყობა არ ხერხდება, მოაწყონ სთ კუთხეები ან კლას-კაბინეტები;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სთ საგნის სწავლებაზე, გაზარდონ მომთხოვნელობა სთ მასწავლებლებისა და V—VI—VII კლასების ხელმძღვანელებისადმი, რეგულარულად დაესწრონ სთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილებს, უზრუნველყონ ამ საგნის სწორი დაგეგმვა, მეცადინეობათა ორგანიზაცია, სწავლების პროცესის ნორმალურად ჩატარება;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სთ ქონების მოვლის, შენახვას და გამოყენებას, რისთვისაც სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლებთან არსებული საწყობები;

ე) დამტკიცებული ტიპიური სქემების შესაბამისად სკოლებთან ჩამოაყალიბონ სანიტარული რაზმებისა და რაზმეულთა ფორმირებანი და მათი მუშაობა წარმართონ მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით;

ვ) სისტემატურად მოისმინონ სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე საკითხი სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობის შესახებ.

4. საშუალო სკოლების სთ მასწავლებლებმა და V—VI—VII კლასების ხელმძღვანელებმა:

ა) გულდასმით ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, გონივრულად შეადგინონ გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი და დაამტკიცებინონ იგი სკოლის დირექტორს ან მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში;

ბ) გეგმაზომიერი მუშაობით აიმაღლონ თავიანთი ცოდნა სთ-ში, დაეუფლონ პედაგოგიურ ოსტატობას, გაკვეთილები ჩაატარონ პროგრამის მიხედვით და მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას;

გ) გაკვეთილებზე ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება (სასწავლო პლაკატები, სქემები, ნახაზები, დიაფილმები, დიაპოზიტივები); თუ სკოლასთან თავშესაფარი არაა, ასეთ შემთხვევაში დაამზადონ თავშესაფრის მაკეტი და მოსწავლეებს გააცნონ თავშესაფრის შინაგანი განლაგება, მოწყობილობა, აღჭურვილობა და თავშესაფარში ქცევის წესები;

დ) მიაღწიონ იმას, რომ სკოლის VII—IX კლასის თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს მტვერსაწინააღმდეგო ქსოვილის ნიღბის შეკერვა;

ე) საკლასო ჟურნალში აწარმოონ სთ გავლილი მასალის, მოსწავლეთა დასწრებისა და მოსწრების აღრიცხვა;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სთ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობის და სამედიცინო თემების ჩატარებას. ყოველ გაკვეთილზე ძირითად ამოცანად და-

სახო5 მოსწავლეებში მტკიცე პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება და მასობრივი დაზიანების იარაღისაგან თავდაცვის საშუალებათა შესწავლა.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) კვალიფიკაციის ამაღლების ყველა საკურსო ღონისძიებათა გეგმაში 1968 წლის I-ლ იანვრიდან შეიტანოს „სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაცია“ სკოლაში 6 საათის მოცულობით, როგორც სავალდებულო საგანი;

ბ) 1968 წლის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა გეგმაში გაითვალისწინოს სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა სათანადო კონტინგენტის კურს-სემინარზე გადამზადება.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის სათანადო განყოფილებათა მუშაკებმა (ამხ. ა. ორახელაშვილმა და ამხ. ნ. მესერიძემ) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებას და შედეგები პერიოდულად მოგვახსენონ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი
**ი. შაიშმელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 27 ნოემბრის ბრძანება № 1324

### სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დიდი ნაწილი დროულად შეუდგა ზამთრისათვის მზადების საქმეს და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა შენობა-ნაგებობათა შეკეთების, სათბობი მასალის მომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და აღსაზრდელთა ზამთრის ტანსაცმელ-ფეხსაცმლით მომარაგების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის, გურჯაანის, თელავის, ატენის, დუშეთის საშუალო, კაჭრეთის, ახალსოფლის, ინგირის, ტაშისკარის რვაწლიანი, ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატები, სურამის, კოჯრის №№ 1, 2, ვაშლოვანისა და ლენინგორის საბავშვო სახლები. ხსენებული სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების შენობები მოყვანილია წესრიგში, შეკეთებულია ღუმელები, შეძენილია მაგარი და რბილი ინვენტარი და აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან ზამთრის ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის რიგ სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებს ზამთრისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ.

წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის ცენტრალური გათბობა და კანალიზაცია არ მუშაობს, ხოლო მისი შეკეთება და ექსპლოატაციაში გაშვება ძალზე ჭიანურდება, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილნი საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმლით—აკლიათ 63 თბილი პალტო, 244 ქუდი, 131 შარვალი, 109 წყვილი ბოტინქმა, 290 წყვილი კალოში და სხვ. სკოლა-ინტერნატი კვლავ განიცდის წყლის ნაკლებობას.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს ბეთანიის სანატორიულ სკოლა-ინტერნატს: არასაკმაო რაოდენობითაა მოწყობილი [illegible] საბნები, არ გააჩნიათ წყლის სასმელი ჭიქები და გრაფინები, არაა მოწყობილი სამრეცხაო, აბანო კეთილმოუწყობელია, არ მუშაობს კანალიზაცია. სკოლა-ინტერნატი არაა უზრუნველყოფილი სასმელი და სამეურნეო წყლით, აღსაზრდელებს აკლიათ ზამთრის ტანსაცმელ-ფეხსაცმელი.

კვლავ მოუწესრიგებელია კანალიზაცია, აბანო და სამრეცხაო მარნეულის სკოლა-ინტერნატში, მოსწავლეებს აკლიათ მოსწავლის ფორმა, სვიტრი, ზამთრის პალტო, ქუდი და სხვ. ინტერნატში ანტისანიტარული მდგომარეობაა.

მძიმე მდგომარეობაა კიცხის სკოლა-ინტერნატში: წყალსადენი მოუწესრიგებელია და წყლის სიმცირის გამო პირსაბანებისა და საპირფარეშოების ნორმალური მუშაობა ფერხდება.

კოჯრის № 4 საბავშვო სახლში შენობა-ნაგებობების დათბუნვის ღონისძიებები ჯერ კიდევ არაა გატარებული, არაა დაწყებული გათბობა, აღსაზრდელებს აკლიათ ზამთრის თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, კოჯრის სკოლა-ინტერნატში უხარისხოდაა გაყვანილი კანალიზაცია.

ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაინტერნატსა და საბავშვო სახლში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა:

ა) სასწრაფოდ დაამთავრონ შენობა-ნაგებობათა რემონტი და უმოკლეს ვადებში უზრუნველყონ საწვავი მასალის მთლიანად შემოზიდვა;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმლით უზრუნველსაყოფად;

გ) წესრიგში მოიყვანონ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი. შეიძინონ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა.

2. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს ყველა სკოლა-ინტერნატი და საბავშვო სახლი ზამთრის ტანსაცმელ-ფეხსაცმლით და აუცილებელი ინვენტარ-მოწყობილობით.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ა. ჩხეტია) სპეციალურად შეისწავლოს წითელწყაროს, მარნეულის, ბოდბისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებში წყალსადენის, კანალიზაციის, ცენტრალური გათბობის მზადყოფნის მდგომარეობა და შედეგების შესახებ მომახსენოს ა/წლის 10 დეკემბრამდე.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეისწავლონ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 24 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 28 ნოემბრის ბრძანება № 1326

### 1966—1967 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მასალებიდან დასტურდება, რომ რესპუბლიკის სკოლების ერთ ნაწილში თანდათან უმჯობესდება სწავლა-აღზრდის საქმე, უფრო მტკიცედ ისწავლება ცალკეული სასწავლო დისციპლინები. 1966—67 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა, განსაკუთრებით მედალოსნებმა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების – მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების უფრო მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს, ვიდრე წინა წლებში.

წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1966—67 სასწავლო წელს საშუალო სკოლის 8670 კურსდამთავრებული. მათ შორის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—1930, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 2677, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში—391, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—210, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში—117 და ა. შ.

მაპროფილებელ საგნებში „5"-ზე ჩააბარეს გამოცდა და ჩაირიცხნენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი 307, კონკურსით კი ჩაირიცხა 102, სულ 409.

კარგი წარმატება გამოიჩინეს ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის, 23-ე, მე-60, 77-ე, მე-5, მე-100, 112-ე,

58-ე, 66-ე და სხვა საშუალო სკოლების, ქ. ქ. ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, გორის, აგრეთვე გეგეჭკორის, გორისა და სხვა რაიონების კურსდამთავრებულებმა.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სკოლების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჯეროვნად მომზადებას დაწესებული პროგრამების ფარგლებში.

საშუალო სკოლების დამამთავრებელ კლასებში 1966—1967 სასწავლო წელს სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა მშობლიურ ლიტერატურასა და მათემატიკაში მოსწავლეთა დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს.

მაგალითად, მშობლიურ ლიტერატურაში ქ. ქუთაისის 31-ე, (დირექტორი მ. გველესიანი. მასწ. ვ. ყაველაშვილი) 31 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 19 მოსწავლემ, მათემატიკაში (მასწ. ნ. სინაურიძე) 31-დან 25-მა, 32-ე (დირექტორი ა. გვაზავა, მასწ. ე. ნუცუბიძე) 30 მოსწავლიდან 18-მა, მე-18 (დირექტორი დ. ყურულაშვილი, მასწავლებელი მ. შანიძე) 18-დან 14-მა, მათემატიკაში (მასწ. მ. ლომინაძე) 23-დან 19-მა, ქ. ზუგდიდის მე-6 (დირექტორი კ. თირქია, მასწ. ვ. დარსალია) 21-დან 12-მა, მათემატიკაში (მასწ. ხ. მაქაცარია) 23-დან 15-მა, ზუგდიდის რაიონის კორცხელის (დირექტორი გ. გულუა, მასწ. მ. ლაგვილავა) 13-დან 11-მა, მათემატიკაში (მასწ. შ. ჯიქია) 13-დან 13-მა; თელავის მე-2 (დირექტორი ი. ზამუკაშვილი, მასწ. ა. სულხანიშვილი) 50-დან 22-მა, მახარაძის რაიონის ჯუმათის (დირექტორი ნ. ცერცვაძე, მასწ. რ. ჩხარტიშვილი) 22-დან 11-მა, ბახვის (დირექტორი ბ. მდინარაძე მასწ. ნ. მელუა) 21-დან 11-მა მოსწავლემ. მათემატიკაში მახარაძის მე-2 (დირექტორი გ. კალანდარიშვილი, მასწ. შ. სარიშვილი) 17-დან 10-მა, მახარაძის რუსულ (დირექტორი გ. სიხარულიძე, მასწ. გ. მჟავია) 23-დან 12-მა, მახარაძის I-ლ (დირექტორი ნ. დოლიძე, მასწ. ე. შოშიტაშვილი) 32-დან 25-მა; მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის (დირექტორი ა. ყანჩაველი, მასწ. ნ. კოტორეიშვილი) 22-დან 19-მა, მაიაკოვსკის ნინოშვილის სახელობის (დირექტორი ვ. ჩინჩალაძე, მასწ. ბ. ლეჟავა) 24-დან 12-მა, მაიაკოვსკის სახელობის (დირექტორი პ. ჩიქვინიძე, მასწ. ც. ლოლაძე) 24-დან 13-მა, დიმის (დირექტორი გ. თავხელიძე, მასწ. გ. კოხოძე) 27-დან 13-მა, ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის

საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ჩხეიძე; მასწ. ც. ხარაიშვილი) X კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა ამოცანები და მაგალითები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედლის კანდიდატებისათვის განათლების სამინისტროს მიერ მათემატიკასა და ქიმიაში ჩატარებულ საკონტროლო წერებში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს ბათუმის I-ლი (დირექტორი დ. მახარაძე, მასწ. ნ. ხინიკაძე) 2-მა, მახარაძის მე-2 (დირექტორი გ. კალანდარიშვილი, მასწ. შ. სარიშვილი) 2-მა, ოჩამჩირის I-ლი (დირექტორი მ. დანელია, მასწ. თ. ძალამიძე) 2-მა, საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა, ასევე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს ყაზბეგის (დირექტორი გ. ფიცხელაური, მასწ. ლ. საბაური); ბათუმის რაიონის ჩაისუბნის (დირექტორი ი. ქიქავა, მასწ. დ. ფალავა); თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის (დირექტორი ზ. კოლმაზოვი, მასწ. ა. შარბანდი); ოჩამჩირის მე-2 (დირექტორი და მასწავლებელი ვ. ტუჟბა); მახარაძის I-ლი (დირექტორი ნ. დოლიძე, მასწ. ე. შოშიტაშვილი) ზუგდიდის მე-4 (დირექტორი გ. ქავთარაძე, მასწ. ნ. ბოლტინა) და თბილისის 50-ე (დირექტორი ს. ჟანო, მასწ. ი. ორეხოვა) საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა.

მედლის კანდიდატების წერითი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ქ. ქუთაისის პირველ (დირექტორი ჯ. საკანდელიძე), მე-2 (დირექტორი ვ. ხოტივარი), ქ. სოხუმის პირველ (დირექტორი დ. ჯანჯღავა), მე-11 (დირექტორი ვ. შარანგია), ქ. ბათუმის მე-5 (დირექტორი ა. სიხარულიძე), და მე-18 (დირექტორი ა. ბაკურაძე) საშუალო სკოლებში. ხოლო წალკის რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ტერსენოვი) 5 მოსწავლის წერითი ნამუშევარი ლიბერალურად იყო შეფასებული „4“-ზე და „5“-ზე. ქ. თბილისის 30-ე (დირექტორი გ. ნიკოლაიშვილი) საშუალო სკოლაში 10 მოსწავლე ყველა საგანში შეფასებული იყო „5“-ზე. განათლების სამინისტროში ჩატარებულ გამოსაუბრებაზე დაშვებისათვის სკოლის დირექციამ შუამდგომლობა ვერ მისცა მათ, რადგან არ ჰქონდათ იმედი, რომ ისინი გაამართლებდნენ სკოლის ნიშანს, რაც ნაწილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისას დადასტურდა.

საგამოცდო ინსტრუქციის უხეშ დარღვევას ადგილი ჰქონდა ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. მესხი), სადაც მოსწავლე შეეცადა ქართულ ლიტერატურაში წერითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდის დროს გამოცდაზე შესრულებული წერითი სამუშაო, გარედან შემოტანილი დაწერილი თემით შეეცვალა.

მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ქ. ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ქ. ნადირაძე, მასწ. მ. აბესაძე) მე-10 კლასელებმა, შეფასებული 29 მოსწავლიდან 24-მა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, მასწავლებელი მ. აბესაძე საკონტროლო წერის დროს ეხმარებოდა მოსწავლეებს. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა ქარელის მე-2 საშუალო სკოლაში. მასწავლებელი თ. აბაშიშვილი ცდილობდა მოსწავლეებისათვის მიეწოდებინა „შპარგალკები“.

უმაღლეს სასწავლებლებში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 1966—67 სასწავლო წელს საშუალო სკოლის ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა, რომელსაც „4“ და „5“ შეფასება ჰქონდა. მაგალითად, ადიგენის რაიონის უდეს საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. კობაძე, მასწ. მ. კაკოშვილი) 4 მა, ახალციხის I-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. ჟუჟუნაძე, მასწ. ნ. ჭინჭარაძე) 2-მა, ახალციხის რაიონის ზიკილიის საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. მელიქიძე, მასწ. ც. მალიძე) 6-მა; ვანის რაიონის სულორის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ხონელიძე, მასწ. გ. ხურციძე) 3-მა, ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. მესხი, მასწ. ლ. გიორგაძე, დ. ბელთაძე) 5-მა; გარდაბნის რაიონის მარტყოფის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ნატროშვილი, მასწ. გ. ლეკიშვილი და ა. მაკალათია) 5-მა. მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანმა 4-მა; სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. ბაკაშვილი, მასწ. ჟ. ბიწკინაშვილი) 10-მა, მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანმა—ერთმა, ახაშენის საშუალო სკოლიდან (დირექტორი რ. ძულიაშვილი, მასწ. გ. ქიტიაშვილი) 3-მა, მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანმა—ერთმა. ვაზისუბნის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ლოლაძე, მასწ. გ. რევაზიშვილი) 2-მა, მახარაძის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. დოლიძე, მასწ. გ. ხარიტონაშვილი) I-მა, ყველა საგანში ხუთოსანმა, ვეჯინის საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. გაბიტაშვილი, მასწ. კ. ორველაშვილი) 2-მა ყველა საგანში ხუთოსანმა; ველისციხის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. ქიტოშვილი, მასწ. ნ. გელაშვილი)—ერთმა, მელაანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ნათიძე, მასწ. ნ. ნაზიროვა) 2-მა; ზესტაფონის I-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ლომთაძე, მასწ. ნ. სახეჩიძე)

4-მა; სადგურ სვირის საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. [illegible] მასწ. გ. ჩუბინიძე) 3-მა; ზუგდიდის რაიონის ნარაზენის საშ. სკოლიდან (დირექტორი კ. ბერიშვილი, მასწ. დ. პაჭკორია) 3-მა, ყველა საგანში ხუთოსანმა, კორცხელის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. გულუა, მასწ. შ. ჯიქია) 3-მა, მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანმა—ერთმა. ზუგდიდის მე-9 სიშუალო სკოლიდან (დირექტორი რ. მიქენაია, მასწ. ვ. ვ. ტორჩინავა)—ერთმა, ყველა საგანში ხუთოსანმა. მე-6 საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. თირქია, მასწ. ს. მაქაცარია) 2-მა, მე-8 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ს. ვეკუა, მასწ. ე. ყუფუნია) 2-მა; ქარელის რაიონის ზემო ხვედურეთის საშ. სკოლიდან (დარექტორი ვ. სულაქველიძე, მასწ. უ. მაციკაძე) 3-მა, მათ შორის ყველი საგანში ხუთოსანმა—ერთმა, ავლევის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ჯახველიძე, მასწ. ა. გელაშვილი) 1-მა, ყველა საგანში ხუთოსანმა; კასპის რაიონის კავთისხევის საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. მაჭავარიანი, მასწ. მ. არაქელოვა) 5-მა, მათ შორის 3-მა ყველა საგანში ხუთოსანმა, კასპის I-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. ხუსკივაძე, მასწ. ა. მელიქოვი) 2-მა, ყველა საგანში ხუთოსანმა, ქვემოჭალის საშ. სკოლიდან (დირექტორი პ. ახვლედიანი, მასწ. ი. ბათირაძე) ერთმა, ყველა საგანში ხუთოსანმა, კასპის მე-2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ელისაბედაშვილი, მასწ. ვ. შახნაზაროვი) 4-მა, ყვარელის მე-2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ავაზაშვილი, მასწ. ვ. შავგულიძე, თ. ჯანიკაშვალი) 5-მა. საბუეს საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. რობაქიძე, მასწ. ე. იაკოვლევა, ვ. ხმიადაშვილი) 5-მა; ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ჩხეიძე, მასწ. ს. ბააკოვი, მ. ლეჟავა, ც. ხარაიშვილი) 4-მა, ბაისუბნის საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. ტყემალაძე, მასწ. ნ. გუგეშაშვილი) 2-მა, მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანმა—ერთმა; ლანჩხუთის I-ლი საშ. სკოლიდან (დირექტორი გ. ჩხაიძე, მასწ. ი. კილაძე) 5-მა, ნიგოითის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ჩხაიძე, მასწ. ვ. ხუხუნაიშვილი) 3-მა; მახარაძის მე-2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. კალანდარიშვილი, მასწ. შ. სარიშვილი) 9-მ, მახარაძის მე-3 საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. ქარჩილაძე, მასწ. ტ. ცირეკიძე) 3-მა, I-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. დოლიძე, მასწ. ე. შოშიაშვილი) 3-მა, ზემონატანების საშ. სკოლიდან (დირექტორა ა. მიქაია, მასწ. ე. ნაკაიძე) 2-მა; მაიაკოვსკის რაიონის მაია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვსკის სახელობის საშუალო სკოლიდან (დირექტორი პ. ჩიქვინიძე, მასწ. ა. ლოლაძე) 7-მა; ონის I-ლი საშ. სკოლიდან (დირექტორი ა. კერვალიშვილი, მასწ. კ. ჩალაძე, ი. ბუგიანიშვილი) 4-მა, მათ შორის ერთმა ყველა საგანში ხუთოსანმა; ორჯონიკიძის რაიონის ვახანის საშ. სკოლიდან (დირექტორი პ. არევაძე, მასწ. გ. ლაცაბიძე) 1-მა, ორჯონიკიძის მე-2 საშ. სკოლიდან (დირექტორი ვ. ლექავა, მასწ. ზ. შარიქაძე) 3-მა; სამტრედიის რაიონის იანეთის საშ. სკოლიდან (დირექტორი და მასწ. დ. ლეკვეიშვილი) 6-მა, მე-3 საშ. სკოლიდან (დირექტორი ს. ნინუა, მასწ. ე. გულდედავა) 3-მა, ლანირის საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. ჯიბლაძე, მასწ. ქ. მეგრელიშვილი) 1-მა; სიღნაღის რაიონის წნორის საშუალო სკოლიდან (ყოფილი დირექტორი ი. ჭაბაშვილი, მასწ. ლ. დარჩიაშვილი) 8-მ, მათ შორის ერთმა ყველა საგანში ხუთოსანმა, საქობოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. კუტიბაშვილი, მასწ. თ. შარმაზანაშვილი) 2-მა; თელავის რაიონის სანიორეს საშ. სკოლიდან (დირექტორი და მასწ. ა. გოგინაშვილი) 2-მა, მათ შორის ერთმა ყველა საგანში ხუთოსანმა, თელავის I-ლი საშ. სკოლიდან (დირექტორი დ. ბოჭორიძე, მასწ. ლ. მატინოვა) 4-მა, მე-2 საშ. სკოლიდან (დირექტორი ნ. ნანობაშვილი, მასწ. ვ. კორძაძე) 3-მა; თერჯოლის საშუალო სკოლიდან (დირექტორი და მასწავლებელი ქ. გიორგაძე, მასწავლებლები მ. ქობიაშვილი, შ. აბაშიძე) 8-მ, ზედასაზანოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ჯაფარიძე, მასწ. გ. გიორგაძე) 3-მა, მათ შორის ორმა ყველა საგანში ხუთოსანმა, ალისუბნის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ო. კერესელიძე, მასწავლებელი ნ. კუტივაძე) 4-მა, ზედასიმონეთის საშ. სკოლიდან (დირექტორი გ. ურიადმკოფელი, მასწ. ნ. პატარიძე) 4-მა, თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ხიდურელი, მასწ. ბ. გოგბერიშვილი, ე. ბიძულაშვილი) 5-მა, მათ შორის ერთმა ყველა საგანში ხუთოსანმა; ხაშურის I-ლი საშ. სკოლიდან (დირექტორი თ. ცინცაბაძე, მასწ. მ. აბრამიშვილი) 11-მა, წითელწყაროს რაიონის ქვემოქედის საშ. სკოლიდან (დირექტორი ა. დათუკიშვილი, მასწ. ზ. ახალმოსულიშვილი) 2-მა, არბოშიკის საშუალო სკოლიდინ (დირექტორი ვ. ტუხაშვილი, მასწ. ჟ. ზუბიაშვილი) 2-მა, მათ შორის ერთმა ხუთოსანმა; წულუკიძის მე-3 საშ. სკოლიდან (დირექტორი ე. ძიძავა, მასწ. რ. შამათავა) 6-მა, წულუკიძის რაიონის ქუტირის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. კაკაბაძე, მასწ. ო. ჭინჭარაძე) ერთმა, გუბის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ბუაძე, მასწ. მ. ჭო-

ლოკავა) ერთმა; ჩოხატაურის მე-2 საშ. სკოლიდან (დირექტორი ა. ცინცაძე, მასწ. რ. კოტრიკაძე) 3-მა, ყველა საგანში ხუთოსანმა; პირველი საშუალო სკოლიდან (დირექტორი ე. კუჭავა, მასწ. ნ. შარაშენიძე) 4-მა, მათ შორის ერთმა ყველა საგანში ხუთოსანმა; ჩხოროწყუს საშ. სკოლიდან (დირექტორი ი. ახალაია, მასწ. ბ. კვირკელია, ა. ჩალიგავა, ლ. მამფორია) 5-მა, მათ შორის ერთმა ყველა საგანში ხუთოსანმა, ჭოლოს საშ. სკოლიდან (დირექტორი კ. ჭეჟია, მასწ. კ. ახალაია) 1-მა, ყველა საგანში ხუთოსანმა, ოჩამჩირის I-ლი საშ. სკოლიდან (დირექტორი მ. დანელია) 3-მა, მათ შორის ორმა ყველა საგანში ხუთოსანმა; გულრიფშის რაიონის განახლების საშუალო სკოლიდან (დირექტორი ტ. ოდიშარია, მასწ. ა. გოროზია) 1-მა ყველა საგანში ხუთოსანმა; გაგრის საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. არახამია, მასწ. მ. მამფორია) 1-მა, ყველა საგანში ხუთოსანმა; ქუთაისის მე-4 საშ. სკოლიდან (დირექტორი ე. ტურძელაძე, მასწ. ქ. მიქანაძე) 4-მა; ქ. თბილისის 47-ე საშ. სკოლიდან (დირექტორი თ. ჩიხლაძე, მასწ. ნ. მურადაშვილი) 8-მ, 30-ე საშ. სკოლიდან (დირექტორი გ. ნიკოლაიშვილი, მასწ. კ. კაკაურიძე ტ. ხიზანიშვილი) 5-მა, მათ შორის ორმა ყველა საგანში ხუთოსანმა, 26-ე საშ. სკოლიდან (დირექტორი გ. ხომერიკი, მასწ. გ. გაფრინდაშვილი) 3-მა, მათ შორის ორმა ყველა საგანში ხუთოსანმა, 36-ე საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ენუქიძე, მასწ. მ. ხაჩიაშვილი) 5-მა, მათ შორის ერთმა ყველა საგანშა ხუთოსანმა, 55-ე საშ. სკოლიდან (ყოფილი დირექტორი ი. სურგულაძე, მასწ. ა. ცქვიტაია) 2-მა, მათ შორის ერთმა ყველა საგანში ხუთოსანმა, 62-ე საშ. სკოლიდან (დირექტორი გ. ონიანი, მასწ. ვ. კიტოვანი) 6-მა, 50-ე საშუალო სკოლიდან (დირექტორი ს. ჟანო, მასწ. რ. ჩუევა, ლ. დადიანი) 5-მა, 22-ე საშ. სკოლიდან (დირექტორი ნ. ჯორბენაძე, მასწ. რ. თავაძე, გ. ჭავჭანიძე) 4-მა, მათ შორის ყველა საგანში ხუთოსანმა ერთმა, მე-18 საშ. სკოლიდან (დირექტორი ვ. შანიძე, მასწ. მ. კახიანი) 5-მა. დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშ. სკოლიდან (დირექტორი ა. თანიაშვილი, მასწ. შ. მაღალაშვილი) 3-მა.

1965—66 სასწავლო წელს კურსდამთავრებულ მედალოსნებიდან ძალზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს უმაღლეს სასწავლებში მისაღებ გამოცდებზე თ. მდივანმა (თბილისის 30-ე საშუალო სკოლა (დირექტორი გ. ნიკოლაიშვილი, მასწ. დ. ცქვიტინიძე), ნ. ბარამიძემ (ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთის საშ. სკოლა, დი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რექტორი პ. ანთაძე, მასწ. გ. ჭელიძე), მ. კუჭავამ (ცხაკაის რაიონის ...ეკის საშ. სკოლა, ყოფილი დირექტორი ჯ. ძაძამია, მასწ. ნ. ჟვანია), დ. მუჯირიშვილმა (დმანისის რაიონის გომარეთის საშ. სკოლა, დირექტორი ვ. მუჯირიშვილი, მასწ. ა. ბაინდურაშვილი), ც. მეტრეველმა (თბილისის 114-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ი. შენგელია, მასწ. ა. შავშიშვილი), ნ. ჟძილაურმა (ყვარელის მე-2 საშ. სკოლა, დირექტორი ნ. ავაზაშვილი, მასწ. პ. ნიშუმაშვილი), ა. ყიფიანმა (ქ. ქუთაისის 22-ე საშ. სკოლა, დირექტორი ნ. ერისთავი, მასწ. ვ. დოლონაძე), ნ. ბერიევმა (ქ. თბილისის მ/ახალგაზრდობის 28-ე საშ. სკოლა), თ. მელიამ (აბაშის რაიონის სეფიეთის საშ. სკოლა, ყოფილი დირექტორი რ. ჭანტურია, მასწ. ი. გეგეშიძე), თ. ლაკერბაიამ (ჩხოროწყუს რაიონის კირცხის საშ. სკოლა, დირექტორი კ. ვარდია, მასწ. ნ. იზორია), ლ. ნარდაიამ (ოჩამჩირის I-ლი საშ. სკოლა, დირექტორი მ. დანელია, მასწ. ი. ვევენავა, ც. გაგოშიძემ (ორჯონიკიძის რაიონის კიცხის საშ. სკოლა, დირექტორი ფ. გელაშვილი, მასწ. ი. მასხარაშვილი), ჯ. ბარამიძემ (ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა, დირექტორი ჯ. ფარცვანია, მასწ. ა. გაბისკირია), ი. შველიძემ (წულუკიძის მე-3 საშ. სკოლა, დირექტორი ა. ძიძავა, მასწ. რ. შამათავა), ი. გელაშვილმა (ასპინძის რაიონის ტოლოშის საშ. სკოლა, დირექტორი პ. წინწკალაძე, მასწ. ა. მელიქიძე), ნ. ანდრიაძემ (აბაშის მე-2 საშ. სკოლა, ყოფილი დირექტორი ბ. ღვაბერიძე, მასწ. ვ. ბოკუჩავა), ვ. ავალიანმა (მესტიის რაიონის იფარის საშ. სკოლა, დირექტორი ა. კორძაძე, მასწ. ზ. ლურსმანაშვილი), ა. ქორიძემ (ჩოხატაურის რაიონის შუაგანახლების საშუალო სკოლა, დირექტორი ს. ჯიბუტი, მასწ. ც. ბერეკაშვილი), ვ. ცარპოვამ (ქ. თბილისის 27-ე საშ. სკოლა, დირექტორი ს. გველესიანი, მასწ. ე. ბაბურაშვილი), ქ. ალნიაშვილმა (ქ. თბილისის მე-8 საშ. სკოლა, დირექტორი ქ. ნახუცრიშვილი, მასწ. ც. კვაჭაძე), მ. დოლიძემ (ქობულეთის I-ლი საშ. სკოლა, დირექტორი ს. გოგიბერიძე, მასწ. ლ. მესხიძე), მ. ცინცაძემ (თბილისის 29-ე საშ. სკოლა, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ქ. ფარცხალაძე, მასწ. ქ. ჭიპაშვილი), ნ. ბულაძემ (თბილისის 36-ე საშ. სკოლა, დირექტორი ნ. ენუქიძე, მასწ. ი. გორდეზიანი).

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს 1965 – 66 სასწავლო წელს კურსდამთავრებულმა მედალოსნებმა, ნ. ერაძემ (თბილისის მე-4 საშ. სკოლა, დირექტორი ა. ქურიძე, მასწ. რ. კორძახია), ლ. პაქსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილმა (ორჯონიკიძის რ-ის ბორითის საშ. სკოლა, დირექტორი და მასწ. გ. მუმლაძე), მ. გელაშვილმა (ხაშურის რ-ის ვაყის საშ. სკოლა, დირექტორი და მასწ. დ. ტეფნაძე), ნ. მაჩიტიძემ (თერჯოლის რ-ნი, თუზის საშ. სკოლა, დირექტორი ი. ნემსაძე, მასწ. ნ. მაჩიტიძე), ბ. ჩხიკვაძემ (ჩოხატაურის რ-ის დაბლაციხის საშ. სკოლა, დირექტორი ზ. ბოცვაძე, მასწ. ვ. გურგენიძე), ლ. რამაზიშვილმა (ქ.თბილისის 117-ე საშ. სკოლა, დირექტორი ა. კაპანაძე, მასწ. მ. ლურსმანაშვილი), ლ. ხინჩიგაშვილმა (თბილისის მე-18 საშ. სკოლა, დირექტორი ვ. შანიძე, მასწ. ქ. ხანდოლიშვილი), ნ. ლიუბოვსკაიამ (თბილისის 35-ე საშ. სკოლა, დირექტორი შ. დავითაია, მასწ. ე. მალალაშვილი), გ. დანდურიშვილმა (თბილისის 28-ე საშ. სკოლა, დირექტორი ო. მესხი, მასწ. რუნინა), ზ. წურწუმიამ (ზუგდიდის მე-6 საშ. სკოლა, დირექტორი ნ. ქირია, მასწ. ხ. ქირია), ვ. უჯმაჯურიძემ (ჩოხატაურის საშ. სკოლა, დირექტორი ე. კუჭავა, მასწ. ნ. ნინიძე), ვ. ავალიანმა (ბათუმის მე-14 საშ. სკოლა, დირექტორი ზ. კობახიძე, მასწ. ნ. ყურაშვილი), ნ. მზარეულიშვილმა და ლ. ბროლაძემ (დიღმის საშ. სკოლა, დირექტორი გ. კობიაშვილი, მასწ. ე. ბროლაძე), ნ. ნოზაძემ (ხაშურის მე-3 საშ. სკოლა, დირექტორი ა. ნოზაძე, მასწ. მ. მღებრიშვილი), ზ. სამნიაშვილმა (ქ. გორის მე-4 საშ. სკოლა, დირექტორი ა. გვრიტაძე, მასწ. ლ. კაპანაძე).

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ფიზიკასა და ქიმიაში უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე 1966—67 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა მედალოსნებმა ა. ამანათიშვილმა (ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლა, დირექტორი ს. გოგბერაშვილი, მასწ. ე. მოისწრაფიშვილი), ვ. კეჭეყმაძემ (ტყიბულის მე-2 საშ. სკოლა, დირექტორი ა. ბოჭორიშვილი, მასწ. გ. ბერძული), ე. ბურჭულაძემ (ბათუმის მე-8 საშ. სკოლა, დირექტორი ნ. ვეკუა, მასწ. ლ. ლაიტერი), მ. კოვზაძემ (მაიაკოვსკის საშ. სკოლა, დირექტორი პ. ჩიქვინიძე, მასწ. გ. ჯანელიძე), რ. შიშმანიძე, (ბათუმის მე-3 საშ. სკოლა, დირექტორი დ. ღლონტი, მასწ. ე. ეიდელმანი).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გაუქმდეს საშ. სკოლების პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებანი თ. ი. მდივნის (თბილისის 30-ე საშ. სკოლა), ნ. დ. ბარამიძის (ლანჩხუთის რაიონი, ჯურუყვეთის საშ. სკოლა), მ. დ. კუჭა-

ვას (ცხაკაიას რაიონის ეკის საშ. სკოლა), დ. ვ. მუჯირიშვილის (დმანისის რაიონი, გომარეთის საშ. სკოლა) ც. ვ. მეტრეველის (თბილისის 114-ე საშ. სკოლა), ნ. ვ. უძილაურის (ყვარლის მე-2 საშ. სკოლა), ა. ვ. ყიფიანის (ქუთაისის 22-ე საშ. სკოლა), ნ. ს. ბერიევის (ქ. თბილისის მ/ახალგაზრდობის 28-ე საშ. სკოლა), თ. მ. მელიას (აბაშის რ-ის სეფიეთის საშ. სკოლა), თ. ა. ლაკერბაიას (ჩხოროწყუს რ-ნი, კირცხის საშ. სკოლა) ლ. ი. ნარდაიას (ოჩამჩირის I-ლი საშ. სკოლა), ც. ა. გაგოშიძის (ორჯონიკიძის რ-ნი, კიცხის საშ. სკოლა), ჯ. ა. ბარამიძის (ცხაკაიას რ-ნი, ახალსოფლის სოფლის ახალგაზრდობის საშ. სკოლა), ი. ა. შველიძის (წულუკიძის მე-3 საშ. სკოლა), ი. ი. გელაშვილის (ასპინძის რ-ის ტოლოშის საშ. სკოლა), ნ. შ. ანდრიაძის (აბაშის მე-2 საშ. სკოლა), ვ. ა. ავალიანის (მესტიის რაიონი, იფარის საშ. სკოლა), ა. ი. ქორიძის (ჩოხატაურის რ-ის შუაგანახლების საშ. სკოლა), ვ. ვ. ცარპოვის (ქ. თბილისის 27-ე საშ. სკოლა), ც. გ. აღნიაშვილის (თბილისის მე-8 საშ. სკოლა), მ. ი. დოლიძის (ქობულეთის I-ლი საშ. სკოლა), მ. ა. ცინცაძის (თბილისის 29-ე საშ. სკოლა), ნ. ე. ბულაძის (თბილისის 36-ე საშ. სკოლა) ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების შესახებ და მათ მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშის ატესტატი.

2. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის დირექტორების: დ. მახარაძის (ბათუმის I-ლი საშ. სკოლა), მ. დანელიას (ოჩამჩირის I-ლი საშ. სკოლა). ნ. ნიკოლაიშვილის (თბილისის 30-ე საშ. სკოლა), ს. გოგიბერიძის (ქობულეთის I-ლი საშ. სკოლა), ა. ბოჭორიშვილის (ტყიბულის მ-ე2 საშ. სკოლა), მ. მესხის (ვანის კიროვის სახ. სკოლა), ფ. ნატროშვილის (გარდაბნის რ-ნი, მარტყოფის საშ. სკოლა), ი. ბაკაშვილის (სოფ. გურჯაანის საშ. სკოლა), კ. ბერიშვილის (ზუგდიდის რ-ნი, ნარაზენის საშ. სკოლა), გ. გულუას (ზუგდიდის რ-ნი, კორცხელის საშ. სკოლა), დ. მაჭავარიანის (კასპის რ-ნი, კავთისხევის საშ. სკოლა), დ. ხუსკივაძის (კასპის I-ლი საშ. სკოლა), ნ. ავაზაშვილის (ყვარლის მე-2 საშ. სკოლა), ნ. დოლიძის (მახარაძის I-ლი საშ. სკოლა), გ. კალანდარიშვილის (მახარაძის მე-2 საშ. სკოლა), პ. ჩიქვინიძის (მაიაკოვსკის საშ. სკოლა), დ. ლეკვეიშვილის (სამტრედიის რ-ნი, იანეთის საშ. სკო-

ლა), ა. ჯაფარიძის (თერჯოლის რ-ის ზ. საზანოს საშ. სკოლა), კ. გიორგაძის (თერჯოლის საშ. სკოლა), ე. ხიდურელის (თეთრი წყაროს რ-ნი, ასურეთის საშ. სკოლა), თ. ცინცაბაძის (ხაშურის I-ლი საშ. სკოლა), ა. ძიძავას (წულუკიძის მე-3 საშ. სკოლა), ა. ცინცაძის (ჩოხატაურის მე-2 საშ. სკოლა), ე. კუშავას (ჩოხატაურის I-ლი საშ. სკოლა), ა. ტერსენოვის (წალკის საშ. სკოლა). საკითხი მათი დირექტორის თანამდებობაზე დატოვების შესახებ განიხილონ შესაბამისი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის) ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განათლების სამინისტროების კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება და სათანადო სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში დასახელებულ სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს;

ბ) ა/წლის 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ანგარიში მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ;

გ) 1968 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყონ ბრძანებაში აღნიშნული კურსდამთავრებულთა გაუქმებული ოქროსა და ვერცხლის მედლების ნიმუშის ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი ნიმუშის ატესტატის მიღება;

დ) დასახელებულ სკოლებში საფუძვლიანად შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა მომზადების დონის არსებითად გაუმჯობესებისათვის; განუხრელად განახორციელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 21 აგვისტოს დადგენილება—„გასული სასწავლო წლის შედეგებისა და 1967—1968 სასწავლო წლის ძირითადი ამოცანების შესახებ“.

ე) გაათავისუფლონ სათანადო წესის დაცვით ან გადაიყვანონ უფრო დაბალ სამუშაოზე ის მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას.

6. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დაისახოს ქმედითი ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია):

ა) სასწავლო წლის მეორე ნახევარში შეისწავლოს მახარაძის, ჩოხატაურის, თერჯოლის, გურჯაანის რაიონებისა და გარდაბნის რაიონის მარტყოფის საშუალო სკოლების მუშაობა;

ბ) საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში მიავლინოს ბრძანებაში აღნიშნულ რაიონებში სასკოლო ინსპექტორები გამოცდების მიმდინარეობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის დასაწესებლად.

8. ბრძანების ტექსტი გამოაქვეყნოს გაზეთ „სახალხო განათლებაში".

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 17 ნოემბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 30 ნოემბრის ბრძანება № 1334

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღების შესახებ

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების თაობაზე სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით 1968 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების IX—X კლასებში გათვალისწინებულია დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღება. დაწყებით სამხედრო მომზადებას გაივლიან IX—X კლასების მოსწავლე ვაჟები და გოგონები კვირაში ორ-ორი საათის მოცულობით. სამხედრო მომზადების შემოღება განხორციელდება თანდათანობით, იმ ვარაუდით, რომ 1970 წლის 1 სექტემბრისათვის რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში ისწავლებოდეს იგი. დაწყებითი სამხედრო მომზადება შედგება საერთო საჯარისო, სამხედრო-ტექნიკური მომზადებისა და სამოქალაქო თავდაცვის განყოფილებებისაგან. სამოქალაქო თავდაცვა, რომელიც ამჟამად IX კლასებში ისწავლება, შედის დაწყებით სამხედრო მომზადებაში, როგორც დამოუკიდებელი განყოფილება. საერთოსაჯარისო მომზადება მოიცავს ტაქტიკურ და სასროლო მომზადებას (კარაბინის, ავტომატის, ტანკსაწინააღმდეგო გრანატმტყორცნის შესწავლა), ხოლო სამხედრო-ტექნიკური მომზადება ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ ერთ-ერთი სამხედრო-ტექნიკური სპეციალობის (ავტომძღოლის, მოტოციკლისტის, რადიოლოკაციური სადგურის ოპერატორის, რადიოტელეფონისტის, ელექტრიკოსის, ელექტრომემონტაჟის, ოპერატორ-პროგრამისტის, ტელეხელსაწყოთა ამწყობის, კატარღის მესაჭისა და სხვ.) შესწავლას და მიღებულ სპეციალობაში მტკიცე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისა და სკოლა-ინტერნატის მოსწავლე გოგონები ვაჟებთან ერთად გაივლიან სამხედრო საქმის საფუძვლებსა და სამოქალაქო თავდაცვას. ამასთან ერთად ისინი იმეცადინებენ სამოქალაქო თავდაცვის სანიტარული რაზმელების მომზადების პროგრამით. სამხედრო მომზადებაში მიღებული ცოდნის გაღრმავების მიზნით აგრეთვე შემოღებული იქნება ფაკულტატიური მეცადინეობა სპეციალური პროგრამის მიხედვით. ფაკულტატიური მეცადინეობის გავლისას მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ სპეციალობა ერთ-ერთი სამხედრო-ტექნიკური მომზადების დარგში. დაწყებით სამხედრო მომზადებაში მიღებული ნიშანი გავლენას ახდენს მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანაზე.

საშუალო განათლების ატესტატში შეტანილი იქნება სამხედრო მომზადებაში მიღებული ნიშანი. მოსწავლე, რომელსაც დაწყებით სამხედრო მომზადებაში 3-ზე დაბალი ნიშანი ექნება—ატესტატს ვერ მიიღებს.

დაწყებითი სამხედრო მომზადების განხორციელებისათვის სკოლებში შემოღებული იქნება სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობა. სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნებიან ის პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ საფუძვლიანი სამხედრო განათლება და ოფიცრის წოდება, უპირატესად საშუალო ასაკის პირთაგან. სამხედრო ხელმძღვანელის კანდიდატებს შეარჩევენ ადგილობრივი სამხედრო კომისარიატები, რის შემდეგაც აღნიშნული პირები გაივლიან ერთთვიან კურსებს და სათანადო ატესტაციის მიღების შემდეგ, სახალხო განათლების ორგანოების მიერ ისინი დაინიშნებიან სკოლაში სამუშაოდ. გეგმით გათვალისწინებულია 1968 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღება საქართველოს სსრ ყოველი რაიონის (ქალაქის) ერთ საშუალო სკოლაში.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამ ღონისძიების წარმატებით ჩატარების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ადგილობრივი სამხედრო კომისარიატებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბების წარმომადგენლებთან ერთად შექმნან კომისიები და ა/წლის 25 დეკემბრამდე შეისწავლონ საკითხი რაიონის

(ქალაქის) რომელ საშუალო სკოლაში შეიძლება შემოღებულ იქნეს 1968 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებითი სამხედრო სწავლება; სკოლის შერჩევისას გაითვალისწინონ სამხედრო-ტექნიკური მომზადებისათვის სათანადო კლასის, სამხედრო კაბინეტისა და იარაღების საწყობისათვის შესაფერისი ოთახების გამოყოფა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შერჩეული სკოლა სანიმუშოდ უნდა იქნეს მოწყობილი სამხედრო სწავლებისათვის, რათა იგი გახდეს დადებითი გამოცდილების დასაყრდენ პუნქტად, რაიონის (ქალაქის), ყველა იმ სკოლისათვის, რომლებშიც 1969 წლიდან შემოღებული იქნება დაწყებითი სამხედრო მომზადება.

2. სამხედრო ხელმძღვანელის (მასწავლებლის) თანამდებობაზე დასანიშნავად შერჩეულ უნდა იქნეს ორი კანდიდატი, აუცილებლად იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ სამხედრო განათლება (უმაღლესი ან საშუალო), აქვთ ოფიცრის წოდება, კარგად ფლობენ მშობლიურ და რუსულ ენას.

3. სამხედრო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით შერჩეული სკოლისა და სამხედრო ხელმძღვანელის (მასწავლებლის) თანამდებობაზე დასანიშნავად გათვალისწინებული კანდიდატების შესახებ საჭირო ცნობები (იხ. დანართი № 1) იგზავნება განათლების სამინისტროში ა/წ 30 დეკემბრამდე.

4. განათლების სამინისტროს მეთოდურმა განყოფილებამ (ამხ. ვ. ცაავა) წარმოადგინოს წინადადებანი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების იმ IX—X კლასებში, რომლებშიც 1968 წლის 1 სექტემბრიდან სამხედრო სწავლება იქნება შემოღებული, დაწყებითი სამხედრო მომზადების საგნის სასწავლო გეგმაში შეტანის შესახებ.

5. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო სწავლების ორგანიზაციასა და მის მუშაობაზე უშუალო ხელმძღვანელობას ვავალებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს ამხ. ა. ორახელაშვილს და განყოფილების უფროსს ამხ. ი. უშვერიძეს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 24 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
25 ნოემბერი, 1967 წელი
№ 1/2051

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს

# ცირკულარული წერილი

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩატარების შესახებ

ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები, კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, საშუალო და რვაწლიანი სკოლების VIII, IX და X კლასებში ატარებენ საკონტროლო წერებს მშობლიურ ლიტერატურასა და მათემატიკაში, სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ თითოეულ საგანში, ერთს—სასწავლო წლის I ნახევარში, ხოლო მეორეს—სასწავლო წლის II ნახევარში.

საკონტროლო წერისათვის თემა შეირჩევა გავლილი საპროგრამო მასალიდან საგნის მასწავლებელთან ერთად, უშუალოდ გაკვეთილის დაწყების წინ. მთელ კლასს მიეცემა ერთი თემა. საკონტროლო წერისათვის შეირჩევა გაწყვილებული გაკვეთილი, გაცდენილი გაკვეთილის შემდგომი ანაზღაურებით.

განათლების განყოფილებამ სკოლის დირექციასთან ერთად უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის ნორმალური პირობები.

ნამუშევრების გასწორება და შეფასება ხდება საგნის მასწავლებელთან ერთად და ნაშრომს ხელს აწერენ განათლების განყოფილების წარმომადგენელი და საგნის მასწავლებელი. ნამუშევრების შეფასება წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების“ დაცვით.

აღნიშნულ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეოთხე-დური ნიშნის გამოყვანისას. შესრულებული სამუშაოები ინახება განათლების განყოფილებაში სასწავლო წლის ბოლომდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაქარაშვილი**

სასკოლო ბიბლიოთეკართა დასახმარებლად

# სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის დაგეგმვა

(მეთოდური წერილი)

მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის სკკპ XXIII ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დასახა.

ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს სადირექტივო ორგანოების დადგენილება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლის განხორციელებაში დიდია წიგნის როლი.

წიგნის პროპაგანდის მძლავრი კერაა ბიბლიოთეკა საერთოდ, კერძოდ კი სკოლის ბიბლიოთეკა.

სასკოლო ბიბლიოთეკა მოსწავლეებს აჩვევს წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, აცნობს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის საფუძვლებს, ეხმარება მათ განამტკიცონ სკოლაში მიღებული ცოდნა, აყვარებს წიგნს—ადამიანის ამ განუყრელ მრჩეველსა და ერთგულ მეგობარს.

სასკოლო ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას უკავშირებს სასწავლო პროგრამას, სააღმზრდელო საქმეს, ამდენად სასკოლო ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაც, ისევე როგორც სკოლის სასწავლო გეგმა, დგება წლიური (აგვისტოდან აგვისტომდე) და ნახევარწლიური სახით. სასურველია აგრეთვე შედგეს მეოთხედური და ცალკეული ღონისძიებების ჩატარების ოპერატიული გეგმაც.

ბიბლიოთეკის წლიურ გეგმაში მოცემული უნდა იყოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოები, ხოლო ნახევარწლიური გეგმები კონკრეტულად უნდა ასახავდნენ სასწავლო წლის მეოთხედების ყველა შესასრულებელ სამუშაოს.

ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა უნდა იყოს შემოქმედებითი, არ უნდა წარმოადგენდეს წინა გეგმის ასლს და ერთხელ დადგენილ სტანდარტს. გეგმა აუცილებელია იცვლებოდეს იმის მიხედვით, თუ რა ახალი საკითხები და ამოცანები ისმება სკოლისა და აქედან გამომდინარე ბიბლიოთეკის წინაშე.

სასკოლო ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაში სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბიბლიოთეკის ფონდის შესწავლას, მის დამუშავებასა და დაკომპლექტებას. ბიბლიოთეკის მუშაკები კარგად უნდა იცნობდნენ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს და სისტემატურად ავსებდნენ იმ ლიტერატურით, რომელზედაც მკითხველთა მოთხოვნილება დიდია.

სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ხდება ბიბკოლექტორისა და წიგნის მაღაზიის საშუალებით (ფონდი მდიდრდება აგრეთვე მოსწავლეებიდან და მოსახლეობიდან წიგნების ნებაყოფლობითი შეგროვებით, რაც სათანადო აქტით ფორმდება).

ხშირად ბიბკოლექტორი წიგნებს თავისი შეხედულებით გზავნის სკოლებში. რომ არ მოხდეს არაპროფილური, სასკოლო ბიბლიოთეკისათვის შეუფერებელი ლიტერატურით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება, საჭიროა სკოლა წინასწარ უგზავნიდეს მოთხოვნას სასურველ წიგნებზე ბიბკოლექტორს (ხელშეკრულების დადებისას უნდა განისაზღვროს რამდენი სახელწოდების რამდენ ტომ წიგნს შეიძენს ბიბლიოთეკა: საბავშვოს, მხატვრულს, პოლიტიკურს და ა. შ.).

ზოგჯერ სკოლის დირექცია, თუ განათლების განყოფილება ბიბკოლექტორსა და მაღაზიას მაშინ ჩაურიცხავს წიგნების შესაძენ თანხას, როცა ის „ასათვისებელია". ამის შედეგად ბიბლიოთეკა იღებს მისთვის არასაჭირო წიგნებს. წიგნადი ფონდის დაკომპლექტებისათვის განკუთვნილი თანხა გამოყენებული უნდა იქნეს დროულად და რაციონალურად.

სამუშაო გეგმის სათანადო გრაფებში ჩაიწერება რამდენი სახელწოდების რამდენი ცალი წიგნი იქნება შეძენილი: საბავშვო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული და სხვა (ცალკ-ცალკე).

სასკოლო ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაში სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბიბლიოთეკის ფონდის დამუშავებას.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაცია მეტად შრომატევადი სამუშაოა. ძნელია გეგმაში მისი სრულად და დაწვრილებით წარმოსახვა. მაგრამ ბიბლიოთეკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც უნდა ცდილობდეს გეგმიური მაჩვენებლების სისრულესა და კონკრეტულობას და, რაც მთავარია, გათვალისწინებული სამუშაოს თავის დროზე შესრულებას. ახლადშემოსული წიგნები ყოველმხრივ უნდა დამუშავდეს და თაროზე გაიწყოს არა უგვიანეს 10 დღისა. წიგნების ბიბლიოთეკურად დამუშავებაში ბიბლიოთეკარმა სასურველია მკითხველთა აქტივიდან მცოდნე, გამოცდილი მოსწავლე დაიხმაროს. ჯამობრივი აღრიცხვა, საინვენტარო წიგნში გატარება და ინდექსის დასმა თვით ბიბლიოთეკარმა უნდა აწარმოოს.

უნდა იქნეს გამოყენებული ყველა მეთოდი და ხერხი, რათა ყოველი მოსწავლე ბიბლიოთეკის მკითხველი გახდეს, ამიტომ გეგმაში შეტანილი ყოველი ღონისძიება ბიბლიოთეკარის, ბიბლიოთეკის აქტივისა და სკოლის მთელი კოლექტივისა მიმართული უნდა იყოს სწორედ ამ მთავარი მიზნის მისაღწევად—წიგნით დავაინტერესოთ ყოველი მოსწავლე.

აუცილებელია მოეწყოს გამოფენები, ლიტერატურული დილები, საღამოები, წიგნების გარჩევა, კოლექტიური სვლა კინოში, თეატრში, მუზეუმებში, ნანახსა და წაკითხულზე მსჯელობის გამართვა, დისპუტები და სხვა.

კარგ შედეგს იძლევა ე. წ. „წიგნით მოგზაურობა", ამ დროს ბავშვები კითხულობენ და ეცნობიან მათთვის საინტერესო ქალაქსა თუ სოფელზე არსებულ ლიტერატურას.

ყველა ამ სამუშაოს ჩასატარებლად საჭიროა მოვიზიდოთ მოსწავლეები, მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, რომლებიც სკოლის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით წარმართავენ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. ამჟამად, როცა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი და ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში ძველი რევოლუციონერების, ომის ვეტერანებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების მოწვევას.

გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს აქტივთან მუშაობა. დაწვრილებით დაიგეგმოს მკითხველთა მომსახურება (რამდენი მუდმივი მკითხველი ეყოლება ბიბლიოთეკას, რამდენი წიგნი იქნება მათზე გაცემული და სხვა). ამასთან, ნაჩვენები უნდა იყოს გასაცემი წიგნების რაოდენობა.

ლიტერატურის გაცემის მაჩვენებლების ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კითხვადობისა და წიგნის ბრუნვის შესწავლას. ვიძლევით რამდენიმე მაგალითს კითხვადობისა და ბრუნვის კოეფიციენტის გამოსაანგარიშებლად.

წიგნის ბრუნვის კოეფიციენტის გასაგებად საჭიროა გაცემული წიგნების რაოდენობა გაიყოს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობაზე. მაგალითად, ბიბლიოთეკამ დროის გარკვეულ მონაკვეთში გასცა 40.000 წიგნი. ბიბლიოთეკას კი სულ აქვს 10.000 წიგნი, მაშინ წიგნის გაცემის კოეფიციენტი იქნება 4 (40.000:10.000=4).

კითხვის კოეფიციენტს გამოვიანგარიშებთ ასე: მკითხველებზე მოცემულ პერიოდში გაცემული წიგნების საერთო რაოდენობა უნდა გავყოთ მუდმივი მკითხველის რაოდენობაზე. თუ გაცემული იყო 40.000 წიგნი, ხოლო მუდმივ მკითხველთა რიცხვი უდრის 2.000, მაშინ კითხვის კოეფიციენტი იქნება 20 (40.000:2.000=20). ასეთივე კოეფიციენტი უნდა იქნას გამოყვანილი ცალკეული ლიტერატურის მიხედვით: საბავშვო, მხატვრული, პოლიტიკური და ა. შ., რათა ბიბლიოთეკის მუშაკებს წარმოდგენა ჰქონდეთ მკითხველთა ჯგუფების დაინტერესებაზე.

ბიბლიოთეკამ საჭიროა იბრძოლოს კითხვის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ამიტომ უნდა მოვძებნოთ მკითხველებთან ინდივიდუალური მუშაობის ეფექტური ფორმები. შეიძლება მკითხველებს ვთხოვოთ, ვისაც ეხერხება, წარმოადგინოს ერთგვარი რეცენზია-ანოტაცია ამა თუ იმ წაკითხულ წიგნზე. შთაბეჭდილების წიგნში „რეცენზენტი“ ჩაწერს, რა მოეწონა ნაწარმოებში, რატომ, რითი გამოირჩევა ესა თუ ის გმირი და სხვა. შეიძლება ბიბლიოთეკაში სხვა წრეებთან ერთად შექმნას რეცენზენტთა წრეც.

განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობაზე. ასეთ შემთხვევაში შედგება წიგნის კითხვის ინდივიდუალური გეგმა, გათვალისწინებული იქნება ამა თუ იმ მოსწავლის დაინტერესება, მიდრეკილება (მასწავლებელმა, კლასის ხელმძღვანელმა, მშობლებმა კარგად იციან, თუ რა იტაცებს ამა თუ იმ ბავშვს).

მოზარდი თაობის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბავშვო პერიოდული პრესა, ამიტომაც ხმამაღალი კითხვისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საბავშვო ჟურნალ-გაზეთები.

სასკოლო ბიბლიოთეკაში იწყება მკითხველთა ხელახალი რე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გისტრაცია. ბიბლიოთეკარმა ყოველდღიურად უნდა აწარმოოს მკითხველებისა და გაცემული წიგნების აღრიცხვა სპეციალურ დღიურში. აუცილებელია ყოველ ახალჩაწერილ მკითხველ ბავშვებთან ინდივიდუალური საუბრების ჩატარება, საჭიროა ვიცოდეთ მათი ინტერესები, მიდრეკილება, ვასწავლოთ, როგორ ისარგებლოს წიგნით, კატალოგით, როგორ მოუაროს და დაიცვას წიგნი და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმ ბავშვებთან მუშაობა, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ცოდნა-ჩვევები.

სანიმუშო გეგმა ითვალისწინებს სარეკომენდაციო ლიტერატურის სიების შედგენას კლასებისა და საგნების მიხედვით, სარეკომენდაციო ლიტერატურის სიების შედგენა უნდა ხდებოდეს საგნის მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

სარეკომენდაციო სიაში შეტანილი იქნება ის წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს და აგრეთვე იმ წიგნების აღწერილობანი, რომლებიც ბიბლიოთეკას არ მოეპოვება, მაგრამ არის უახლოეს სხვა ბიბლიოთეკაში, ან მაღაზიაში ახლახან შემოვიდა გასაყიდად (სიები ხშირად უნდა იცვლებოდეს).

მეთოდურ წერილში „სასკოლო ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა“, არ არის საშუალება დეტალურად დაიწეროს ყველაფერზე, რაც დაკავშირებულია სკოლის ბიბლიოთეკის გეგმის შედგენა-მუშაობასთან, მაგრამ დაინტერესებულ ბიბლიოთეკარს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია სარაიონო, საბავშვო ან ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურ და მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებში.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჩატარებული მუშაობის თავმოყრას, გაანალიზებას, ანგარიშის შედგენას და მის წარდგენას სკოლის პედსაბჭოზე.

ქვემოთ მოგვყავს ქ. თბილისის მე-60 ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ბიბლიოთეკის 1967—68 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა, რომელსაც მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
სკოლის დირექტორი—ლილი შელაძე
25/VIII—67 წ.

**თბილისის მე-60 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის 1967—68 სასწავლო წლის სამუშაო**

# გ ე გ მ ა

## ბიბლიოთეკის ამოცანები

1967—68 სასწავლო წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა განაგრძობს მუშაობას ბიბლიოთეკების წინაშე სკკპ XXIII ყრილობის მიერ დაყენებული ამოცანების და ამ საფუძველზე იმ დიდ სამუშაოთა განსახორციელებლად, რომელიც ახლახან დააყენა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე ზემდგომი ორგანოების დადგენილებამ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

გეგმა ითვალისწინებს იმასაც, რომ ჩვენი დიადი ქვეყანა გაცხოველებით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. მაშასადამე, საჭიროა ბიბლიოთეკამაც სათანადო ღონისძიებანი ჩაატაროს ამ მიმართებით.

ბიბლიოთეკა მიზნად ისახავს არ დარჩეს არც ერთი მოსწავლე ბიბლიოთეკის მომსახურების გარეშე, უზრუნველყოს წიგნის მაქსიმალური გაცემა, მნიშვნელოვნად გაზარდოს წიგნის ბრუნვისა და კითხვის მაჩვენებლები.

აქედან გამომდინარე, სკოლის ბიბლიოთეკა გეგმავს შემდეგი სახის სამუშაოებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მონაცემები

მე-60 საშუალო სკოლას აქვს 47 კლასი, რომელშიც სწავლობს 1810 მოსწავლე. მათ ასწავლის 95 მასწავლებელი. სკოლაში მუშაობს 26 ტექნიკური მუშაკი.

1967 წლის პირველი იანვრისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უდრიდა 11.145 წიგნს და 45 ბროშურას.

გასულ სასწავლო წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 2000 მკითხველს: 1900 მოსწავლეს, 80 მასწავლებელს, 10 ტექნიკურ მუშაკს და 10 მშობელს. მკითხველებზე გაიცა 32000 წიგნი და ბროშურა, ხოლო დასწრება უდრიდა 34000.

წიგნებისა და ბროშურების შესაძენად გამოყოფილი იყო 300 მანეთი. სკოლამ შეიძინა 480 ტომი წიგნი და 21 ბროშურა.

1967—1968 სასწავლო წლისათვის ბიბლიოთეკამ გამოიწერა 110 მანეთის 35 სახელწოდების 40 ცალი ჟურნალ-გაზეთი.

აქედან: 26 სახელწოდების 28 ცალი ჟურნალი, 9 სახელწოდების 15 ცალი გაზეთი.

ბიბლიოთეკას უჭირავს 48 კვ. მეტრი ფართობი. ბიბლიოთეკაში მუშაობს ორი ბიბლიოთეკარი, ორივე უმაღლესი განათლებით, აქედან ერთი სრულ განაკვეთზეა, მეორე—ნახევარ განაკვეთზე

| №№ | მუშაობის შინაარსი | მიმდინარე სასწავლო წლის გეგმა | შესრულების ვადა მეოთხედე-ბის მიხედვით | გეგმის შესრუ-ლება წლის ბოლოს | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | I<br>**ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტება და მისი ორგანიზაცია** | | | | |
| 1 | ფონდის შევსება მიმდინარე სასწავლო წელს 300 მანეთის ლიტერატურით . | 500 ცალი | I—IV | | |
| | ა ქ ე დ ა ნ: | | | | |
| | ა) საზოგადო-პოლიტიკური—50 სახელწოდების . . . . . . . . . . . . . | 50 ცალი | » | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბ) პედაგოგიურ-მეთოდური—20 სახელწოდების . . . . . | 20 ცალი | „ | | |
| | გ) ზუსტი მეცნიერებანი (ფიზიკა-მათემატიკა) . . . . . . . | 120 ცალი | „ | | |
| | დ) მხატვრული, საბავშვოს ჩათვლით . | 290 ცალი | „ | | |
| | ე) საცნობარო-ბიბლიოგრაფიული, კალენდარი, ლექსიკონი, პლაკატი და სხვა—20 სახელწოდების . . . . . | 20 ცალი | „ | | |
| 2 | პერიოდიკის გამოწერა—35 დასახელების ჟურნალ-გაზეთი: . . . . . . . . | 43 ცალი | I მეოთხედი | | |
| | ა) გაზეთი—9 სახელწოდების . . . . . | 15 ცალი | | | |
| | ბ) ჟურნალი—26 სახელწოდების . . . . | 28 ცალი | | | |
| 3 | ბიბტექნიკის შეძენა და ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა . . . . . . . . . | | I—IV | | |
| 4 | ახალშემოსული წიგნების ბიბლიოთეკური დამუშავება (აღრიცხვა, კლასიფიკაცია, კატალოგებში ასახვა და სხვა) . . . | 500 ცალი | I—IV | | |
| 5 | ანბანური და სისტემატური კატალოგების რედაქცია . . . . . . | 2-ჯერ | I—III | | |
| 6 | ილუსტრირებული კატალოგების შედგენა-შევსება I—IV კლასებისათვის . . . | ერთხელ | I—III | | |
| 7 | III—IV კლასებისათვის თემატური კატალოგებისა და კარტოთეკების შედგენა-შევსება საგნების მიხედვით (მოკლე ანოტაციები) . . . . . . . . | ერთხელ | I—III | | |
| 8 | წიგნებზე ანოტაციების შედგენა იმ საგნებში, რომელთა შესწავლა ხდება გაძლიერებით (ფიზიკა-მათემატიკა) . | 20 ცალი | | | |
| 9 | პედაგოგიური ჟურნალებიდან სტატიების ანალიტიკური აღწერილობა მასწავლებელთათვის . . . . . . . . . | 60 ბარ. | I—IV | | |
| 10 | ფონდის გაწმენდა მოძველებული და პროფილის შეუსაბამო ლიტერატურისაგან | 1100 ც. წიგნი | I—III | | |
| | II<br>**მკითხველებთან მუშაობა და წიგნის პროპაგანდა** | | | | |
| 1 | I—VIII კლასების მოსწავლეთა მთლიანი ჩაბმა ბიბლიოთეკებში . . . . . . . | 1618 მოს. | I | | აქ იგულისხმება სკოლის მიკრორაიონის საბავშვო ბიბლიოთეკაში მოსწავლეთა ჩაბმა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | აბონემენტზე მუშაობა და სკოლის ბიბლიოთეკაში მკითხველების ჩაბმა . . | 1500 მკითხვ. | I | | |
| 3 | მკითხველებზე წიგნების გაცემა . . . . | 290. 0 ც. წ, | I—IV | | |
| 4 | ბიბლიოთეკის ღღიურის წარმოება . . . | | I—IV | | |
| 5 | კითხვის ინდივიდუალური ხელმძღვანელობა (მკითხველთა ინტერესების შესწავლა, ინდივიდუალური დახმარება) . . | 100 მკითხვ. | | | |
| 6 | მკითხველებთან საუბრის ჩატარება (საბიბლიოთეკო გაკვეთილები) . . . . | 20-ჯერ | I—IV | | |
| 7 | მოსწავლეთა თანდათანობითი ჩაბმა ლექსიკონებისა და სხვა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ლიტერატურით სარგებლობაში, აგრეთვე კატალოგების პრაქტიკულ გამოყენებაში . . . . | | I—IV | | |
| 8 | კითხვის კოეფიციენტი (1 მკითხველზე გაიცემა 18) . . . . . . | 18 | „ | | |
| 9 | წიგნის ბრუნვის კოეფიციენტი . . | 2,9 | | | |
| 10 | მოძრავი ბიბლიოთეკის გახსნა . . . . | 17 მოძრადი | „ | | |
| 11 | სარეკომენდაციო სიების შევსება კლასების მიხედვით . . . . . . | | „ | | |
| 12 | წაკითხულიდან მკითხველთა შთაბეჭდილებების შეგროვება . . . . | 40 | „ | | |
| 13 | საბიბლიოთეკო პლაკატის შედგენა . . | 4 ცალი | „ | | |
| 14 | გამოფენის მოწყობა: . . . . . . . . . | 10-ჯერ | „ | | |
| | ა) ახალი წიგნების | | | | |
| | ბ) ჟურნალების | | | | |
| | გ) ბიბლიოგრაფიული საძიებლების | მიღების-თანავე | „ | | |
| | დ) ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის | | | | |
| | ე) ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის . . . . . . . . | | | | |
| | ვ) თემატური—„მამათა გზით“ და სხვა . . . . . . . . . . . . | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 15 | ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა: 8 მარტი, პირველი მაისი, 9 მაისი, 7 ნოემბერი და სხვა . . . . . |  | I—IV |  |
| 16 | შეხვედრა ტექსელის აჯანყების გმირებთან (არტემიძე, გონგლაძე, რეხვიაშვილი) . . . . . . . . . | 1 | I |  |
| 17 | ლიტერატურული საღამოს მოწყობა თემაზე—„ოქტომბრის რევოლუცია ქართულ საბჭოთა პოეზიაში“ . . . . . | 1 | I |  |
| 18 | პოეზიის დღის ჩატარება რუსთაველის დღესთან დაკავშირებით . . . . | 1 | I |  |
| 19 | მკითხველთა კონფერენციის ჩატარება—„წიგნი—ცოდნის წყარო“ (VII—VIII კლისი) . . . . . . . . . . | 1 | II |  |
| 20 | „ჩემი საყვარელი მწერლები“ (IX—X კლ.) | 1 | III |  |
| 21 | წიგნის განხილვის მოწყობა ათეისტურ თემაზე, ესთეტიკურ აღზრდაზე და სხვ. (ცალკეულ კლასებში) . . . . . . | 6-ჯერ | I—IV |  |
| 22 | კითხვა-პასუხის საღამოს მოწყობა („ლიტერატურა და ხელოვნება“) . . . . | 1 | IV |  |
| 23 | ხმამაღალი კითხვის ჩატარება . . . . . | 30-ჯერ | I—IV |  |
| 24 | მშობლებთან ინდივიდუალური საუბრები ბავშვთა შეგნებული კითხვის გარშემო | 20-ჯერ | I—IV |  |
|  | **წ რ ე ე ბ ი** |  |  |  |
|  | ა) მხატვრული კითხვის . . . . . . | 15 მოსწ. | I |  |
|  | ბ) წიგნის მეგობართა . . . . . . . | 25 მოსწ. | I |  |
| 1 | ალბომის გაფორმება თემაზე: |  |  |  |
|  | „საბურთალო წინათ და ახლა“ . . . . | 1 | II |  |
| 2 | ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით წიგნების ძოტანა . . . . . . . . . . . | 10 წიგნი | I—IV |  |
| 3 | მეთოდური დახმარების მიზნით კავშირის დამყარება კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ, ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურ, საბავშვო რესპუბლიკურ, აგრეთვე სარაიონო ბიბლიოთეკებთან . . . . . . . . . . |  |  |  |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | ექსკურსიის მოწყობა ბიბლიოთეკებში, სტამბებში, ამა თუ იმ მოღვაწის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ადგილებში | 2-ჯერ | I—III | | |
| 5 | პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობის მიღება . . . . . . . . . | | I—IV | | |
| 6 | ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებისა და მოსწავლეთა მომსახურების განრიგის გამოკვრა თვალსაჩინო ადგილზე | | I | | |
| | III | | | | |
| | ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა | | | | |
| 1 | პედსაბჭოსათვის საკითხის მომზადება | | | | |
| 2 | ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, სტატისტიკური ცნობების წარდგენა და მოხსენებითი ანგარიშის შედგენა (წერილობით) . . . . . . . . . . . . | | | | |

ბიბლიოთეკარი ვ. ფოფხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის
24 ოქტომბრის დადგენილებით

**მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადა ლიტერატურაში**

## დებულება

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო 1967/68 სასწავლო წლიდან ატარებს მოსწავლეთა ოლიმპიადას მშობლიურ ლიტერატურაში.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მშობლიური ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII—X (IX—XI) კლასების ყველა მოსწავლეს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რაიონული და საქალაქო საორგანიზაციო კომიტეტები ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებთან, რომლებსაც ამტკიცებენ შესაბამისი განათლების განყოფილებები;

ბ) ზონალური კომიტეტები, რომლებსაც სკოლების სამმართველოსა და რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარდგენით ამტკიცებს განათლების სამინისტრო;

გ) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

5. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად, პირველი—ზონალური, მეორე—რესპუბლიკური.

6. პირველ ზონალურ ტურში დაიშვებიან ის მოსწავლეები, რომლებსაც რაიონული ან საქალაქო საორგანიზაციო კომიტეტები სკოლებთან ერთად შეარჩევენ სკოლებში არსებული დოკუმენტების

ნაციონალური ბიბლიოთეკა

საფუძველზე (მიმდინარე და მეოთხედური შეფასებები, წერითი ნამუშევრები, ლიტერატურულ წრეში მუშაობა, მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციაზე მონაწილეობა და სხვა).

რაიონული ან საქალაქო კომიტეტები პირველ ტურში დასაშვებ მოსწავლეთა სიას წარუდგენენ ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტს 30 იანვრამდე.

7. საზონათაშორისო ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 16 ზონად: 1. ქ. თბილისი—ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, მცხეთისა და გარდაბნის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 2. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის; 3. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის; 4. ქ. ცხინვალი—სამხრეთ·ოსეთის ა/ოლქის მოსწავლეთათვის; 5. ქ. ქუთაისი—ქუთაისის, ტყიბულის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძისა და ვანის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 6. ცაგერი—ცაგერის, ონის, ამბროლაურისა და ლენტეხის რაიონის მოსწავლეთათვის; 7. ცხაკაია—ქ. ფოთის, ცხაკაიას, ხობის, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 8. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 9. ზესტაფონი—ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 10. გორი—ქ. გორის, გორის, ბორჯომის, კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 11. ახალციხე—ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის; 12. თეთრიწყარო—თეთრიწყაროს, დმანისის, წალკის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 13. თელავი—თელავის, ლაგოდეხის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 14. გურჯაანის—გურჯაანის, წითელწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს სკოლების მოსწავლეთათვის; 15. დუშეთი—დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის; 16. მახარაძე—მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის სკოლების მოსწავლეთათვის.

8. პირველი ზონალური ტური შედგება თებერვალში, მეორე რესპუბლიკური—აპრილში.

9. პირველ ზონალურ ტურს ატარებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი, ხოლო მეორე ტურს—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ორივე ტურის თემებს ან დავალებებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. პირველი ზონალური ტურისათვის დალუქულ პაკეტებს საორგანიზაციო კომიტეტები მიიღებენ ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით.

11. პირველი ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

**შენიშვნა**: ოლიმპიადაზე წერითი სამუშაო სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდებზე, რომლებსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

12. ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეებს თემისა ან დავალების დასაწერად მიეცემათ განუწყვეტელი დრო 6 საათი.

13. ზონალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ მე-2 ტურში, რომელიც ქ. თბილისში ჩატარდება.

მეორე რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს განიხილავს რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტი. რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ორივე ტურში მიიღებენ მაღალ შეფასებებს („4“ ან „5“).

14. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. ოლიმპიადაში გამარჯვებულებს მიეცემათ სიგელი, რომლის გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დააჯილდოებს აგრეთვე იმ მასწავლებლებს, რომლებიც განსაკუთრებულ აქტივობას გამოიჩენენ მოსწავლეთა შორის მშობლიური ლიტერატურის ცოდნის ამაღლების საქმეში.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: **ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 6, ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. ბრძანება № 1105—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის შეკრებებზე გადამზადების შესახებ . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 1174—სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 6
3. ბრძანება № 1175—ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 11
4. ბრძანება № 1211—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის ორდღიანი შეკრების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 18
5. ბრძანება № 1239—საბავშვო სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 20
6. ბრძანება № 1322—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოების მუშაობის შესახებ . . 24
7. სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა და V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა მეთოდური საბჭოს დებულება . . . . . . . . . . . . 26
8. ბრძანება № 1323—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII—IX კლასებში სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 29
9. ბრძანება № 1324—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . 33
10. ბრძანება № 1326—1966—1967 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 36
11. ბრძანება № 1334—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღების შესახებ . . . . . 48